645
1989/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ქალი

4 1989
ISSN 0321-1500



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
(«ЖЕНЩИНА ГРУЗИИ»)

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии

მთავარი რედაქტორი
მარიკა
ბარათაშვილი

Главный редактор
МАРИКА
БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია:

ნელი გურგენიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნაზი თარგამაძე, ლია კაკაბაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ზინაიდა კვაჭაძე, ნაზი კილასონია, თამარ ლაშქარაშვილი, ქეთევან ლომთათიძე, ნინო ჟვანია, ცინარა ტერელაძე (მხატვრული რედაქტორი), ნადია შალუტაშვილი, ლუბა შეწირული, ირმა ჩოფიკაშვილი, ნინო ჯავახიშვილი, ეთერ ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი ნანული გუკია

გარეკანის პირველ გვერდზე — მერაბ ბერძენიშვილის „კიდევაც დაიზრდებიან"; მეოთხეზე — ელგუჯა ამაშუკელის „ვეფხი და მოყმე".

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина 14.



# გაუფრთხილდით საქართველოს!

გლოვის დღე ბევრი გვქონია, მაგრამ ასეთი მწარე, მგონი, არასდროს!

რომელი ერთი უდროოდ შემწყდარი სიცოცხლე დავიტიროთ, რომელი ერთი ოჯახის ჩამქრალი იმედი და სიხარული! რომელ ერთს მივუსამძიმროთ! ამიტომ შენ მოგმართავ, მრავალჭირნახულო, მრავალი ძვირფასი შვილის დამკარგავო დედასაქართველოვ!

დიდი უბედურება დაგვატყდა თავს! განსაკუთრებით მწარეა უდროოდ დაკარგულ, გაუხარელ სიცოცხლეზე გლოვა, ბუნების ზეიმის ამ მზიან დღეს! ყველა ისინი ხომ ბედნიერებისათვის იყვნენ გაჩენილნი. ზოგი მათგანი დედებიც იყვნენ, მომავალი დედებიც, რომლებსაც უნდა ეშობათ და აღეზარდათ საქართველოს მომავალი!

9 აპრილის განთიადმა შეიწირა მათი იმედები, ოცნებები და დაგვიტოვა ყველა მათგანის მხოლოდ ნეშტი, სიცოცხლეჩამქრალი და სასტიკად ნაწამები.

განუზომელია ჩვენი აღშფოთება და მწუხარება, მაგრამ ჩვენი ხვედრია, რომ ყველა ნაჭრილობევს თავადვე ვუშველოთ, მალამო ვუპოვოთ და მოვაშუშოთ, რადგან ამ დიდ სამყაროში სხვა ვინმე — სისხლით ნათესავი არც გაგვაჩნია.

ამ რამდენიმე წლის წინ, ლესია უკრაინკას იუბილეს დღეებში, ამერიკიდან წვეულმა, ლესიას ოჯახის ერთ-ერთმა შთამომავალმა თქვა: სად არ ვყოფილვარ, მსოფლიო მოვლილი მაქვს, მაგრამ თუღა იყო სადმე შემორჩენილი რაინდების ქვეყანა, ვერ წამოვიდგენდი, ყოველ ამ რაინდს, ერთობლივ საქართველოს დიდი გაფრთხილება და მოვლა ესაჭიროებაო.

უთუოდ მოვლა და გონივრული მოვლაა საჭირო, რომ მტერი არ გავახაროთ! ვაჟკაცობა ის კი არ არის, დაღუპულთა ხსოვნას შეეწირო — საქმე ისაა, მათი კეთილი ხსოვნა ვაცოცხლოთ, მათს საფიქრალს მოვუაროთ, მათი ოცნების ნერგები გავახაროთ და ვაღორძინოთ.

ამდენ ბრძოლაგამოვლილს, არაერთხელ განადგურებამდე მისულ ქართველ ხალხს სწამდა, რომ მტრის ალყაში მოქცეულ მცირერიცხოვან, მაგრამ დიდ საქართველოს, ღვთისმშობლის კალთა იფარავდა.

ღვთისმშობლის კალთა! — ესე იგი დედობის მადლი, როდესაც იშვიათი იყო ოჯახი, რომელსაც 8, 10 და ზოგჯერ მეტი შვილი არ ჰყოლოდა. ასე იყო, მაგრამ დღეს?

ჩვენ ზომაზე მეტად ემოციების ამყოლი ხალხი ვართ — ზოგჯერ უფრო გრძნობის კარნახით ვცხოვრობთ, რასაც ჩვენთვის ყოველთვის სიკეთე როდი მოუტანია! ის, რაც მოხდა, კიდევ ერთი მწარე გაკვეთილია, რაც გვარწმუნებს, რომ აუცილებელია, ცივ გონებასაც მოვუხმოთ და განსაკუთრებით ისეთ რთულ სიტუაციებში, როდესაც ყოველი დაუფიქრებელი ნაბიჯი შეიძლება კატასტროფით დამთავრდეს.

ამ წმიდათაწმიდა გლოვის დღეს მოგმართავთ ყველას, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია საქართველო, გავუფრთხილდეთ მის ყოველ ახალგაზრდას, ისედაც მცირერიცხოვან ოჯახებს, მცირერიცხოვან ერს, ახლა უფრო მეტად გვევალება, და ეს ჩვენი სასიცოცხლო დანიშნულებაცაა — ვიფიქროთ საქართველოს მომავალზე!

მარიკა ბარათაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

## სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

# მოდის „თეთრი ნაკადული"

მარჯვენადალოცვილი ქალიაო ნინო წიკლაური, — მითხრეს თელეთში.

წალკელი ბერძენი ნინო იანიდი ქალის ბედმა მანგლისის მკვიდრი გახადა, ოთარ წიკლაურზე გათხოვდა.

იმთავითვე ტკბილად აეწყო ახალშეუღლებულთა ცხოვრება. ოთარი სოფლის ნახირს მწყემსავდა, ნინო — ოჯახში ტრიალებდა...

იმხანად თელეთში მეძროხეობის დიდი კომპლექსი აშენდა. კომპლექსის ხელმძღვანელობა მწველავებს იწვევდა სამუშაოდ.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარს თელეთში გაუწია გულმა. ნინომ მწველავად დაიწყო მუშაობა, ოთარმა — სამშენებლო ბრიგადაში.

ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ.

მას შემდეგ ნინო მუდამ მოწინავე მწველავთა რიგებშია, ოთარი კი ჩინებული მშენებელია.

თელეთელთა პატივისცემა და სიყვარული არც ერთს აკლია და არც მეორეს. ოჯახი მოაწყეს, კარგი შვილები აღზარდეს.

უფროსი ვაჟი — ამირანი საბჭოთა არმიის რიგებში იხდის სავალდებულო სამსახურს, უმცროსი — ბიჭიკო საშუალო სკოლის მოსწავლეა.

ნინო წიკლაურმა თავდაპირველად თელეთის მერძევეობის კომპლექსის ფონიჭალის ბრიგადაში დაიწყო მუშაობა. ეს ბრიგადა რძეუხვ საფურეებს უზრდის კომპლექსს. თვითონ ფურებიც მხოლოდ მაღალპროდუქტიულია, ყველა ჯიშური თვისებებით გამორჩეული.

შავჭრელი ჯიშის ფურებს ნინო წიკლაური ერთი წუთით არ აკლებდა ზრუნვას, დროულად აჭმევდა, ასუფთავებდა, წველიდა, სუფთა ჰაერზე გამოჰყავდა.

შრომამ გაუმართლა, კომპლექსში პირველი სამათასოვანი მწველავი გახდა. წლები წლებს მიჰყვებოდა და ნინოს საწარმოო მაჩვენებლებიც იზრდებოდა. 30 ფურზე მეტს პატრონობდა და ყოველწლიურად 3500-4000 კილოგრამზე მეტ რძეს წველიდა თითოეულს, ბერწად არც ერთი არ რჩებოდა. ასეა, როცა ფური კარგად არის მოვლილი, რძესაც უხვად იწველის და „უშვილოც" არ რჩება.

პირადი წარმატებით არასოდეს დაკმაყოფილებულა ნინო. უხარია, როცა ბრიგადაში, მთელს კომპლექსში საქმე კარგად არის აწყობილი. თავის მდიდარ გამოცდილებას სიამოვნებით უზიარებს თანამოსაქმეებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს. ახლა თელეთის მერძევეობის კომპლექსში ათობით მწველავი რეკორდულ მაჩვენებლებს რომ აღწევს, ეს ნინო „მასწავლებლის" დამსახურებაც არის. მან რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველმა შექმნა მწველავთა გამოცდილების სკოლა და მუშაობაც საქმიანად წარმართა.

ნინო წიკლაური ჩინებულად ფლობს მანქანით წველის ხელოვნებას. წველის დაწყების წინ ფურს მოეფერება, ბოქსში შეუშვებს, ცურს გაუსუფთავებს, ძუძუებზე საწველი აპარატის „თითებს" მოარგებს, ღილაკს დააჭერს და „თეთრი ნაკადული" აჩხრიალდება.

ასეა აქ ყოველდღე, ყოველ დილას და საღამოს, წელიწადის 365 დღეს თელეთის მერძევეობის კომპლექსიდან თბილისისაკენ მოემართება ავტოცისტერნები წარწერით „რძე".

ახლა მერძევეობის კომპლექსში 785 ფურია. ზამთრის პერიოდში თითოეულ ფურზე ყოველდღიურად იწველებოდა 8,2 კილოგრამი რძე.

შარშან ფურის საშუალო წველადობამ 3327 კილოგრამს მიაღწია, წლეულს 3400 კილოგრამს გადააჭარბებს. ამ კილოგრამებისაგან იქმნება ტონები. ავტოცისტერნებით მთელი წლის განმავლობაში ყოველ დილა-საღამოს 5-8 ტონა რძეს აწვდიან დედაქალაქის საავადმყოფოებსა და საბავშვო დაწესებულებებს, გაერთიანება „თბილისრძეს". მარტო შარშან 2500 ტონამდე რძე მიაწოდეს თელეთელმა მერძევეებმა დედაქალაქის მშრომელებს. ამაში, ბუნებრივია, ნინო წიკლაურის დიდი წვლილიც არის.

დაფასებული ქალია ნინო. დიდი ხანია მინიჭებული აქვს პირველი კლასის მეცხოველის საპატიო წოდება. ეს იმას ნიშნავს რომ გამომუშავებული ხელფასის 25 პროცენტს ყოველთვიურად დამატებით იღებს.

შარშანდელმა წელმა დიდი სიხარული და საყოველთაო აღიარება მოუტანა ნინო წიკლაურს. იგი ახლა ერთადერთი მწველავია მთელს რესპუბლიკაში, რომელსაც სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება მიანიჭეს.

ჩემთვის ახლა ნათელი გახდა, რატომ მითხრეს თელეთში — მარჯვენადალოცვილი ქალია ნინო წიკლაურიო.

დავით ქათამაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



შტრიხები მუშის პორტრეტისათვის

19.052

# ჩვიდმეტიდან ოცდაექვსამდე

როცა ჩვიდმეტი წლისა ხარ, ბედი გიცინის. ის ათასნაირ საჩუქრებს გთავაზობს, ერთმანეთზე უკეთესს. როგორც ძველ ქართულ ზღაპარშია: ამ გზაჯვარედინიდან თუ გზას მარჯვნივ დაადგები — წინ სიხარული გელის, თუ მარცხნივ გაუხვევ, დაბრკოლებები შეგხვდება.

ასე და ამგვარად, ჩვიდმეტი წლის მაია კალმახელიძემ სიმწიფის ატესტატი აიღო, სკოლას და მეგობრებს დაემშვიდობა და გზაჯვარედინიდან მარჯვნივ მიმავალ გზას დაადგა.

საქართველოს ისტორიის სიყვარულმა, რომლის სწავლაც სკოლაში საფუძვლიანად არ მოხერხდა, უნივერსიტეტში შესვლა აფიქრებინა. მაგრამ იმდროინდელმა „ჩაწყობებმა“ გული გაუტეხა, მშობლებს ვერც რეპეტიტორები მოსთხოვა და ვერც აქეთ-იქით მიდგომა-მოდგომა. დარწმუნდა, მარტო ჩემი ცოდნით და მცდელობით ვერას გავხდებიო და ისევ გზაჯვარედინთან მიბრუნდა.

თვალებში გოგონას გაზაფხული უცინოდა, ტანს ლამაზად შეკერილი ჩითის კაბა უხდებოდა, ასეთს ჩვენს მაღაზიაში იშვიათად შეხვდებოდით.

ქალიშვილმა დაბრკოლებიანი გზა აირჩია, საკუთარ თავსაც მე თვითონ გამოვიწყობო და კერვის შესასწავლად პროფსასწავლებელში მივიდა.

დრო დასჭირდა გარკვევას, სწორი გვირისტისა და ნაოჭის გამოყვანას. მაიამ ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის უსინათლო, ჩაბნელებულ საამქროში ძველ მორახრახე მანქანას ხელისგული გადაუსვა, მტვერი გადაწმინდა და დაეპატრონა.

რახრახებდა მანქანა, ნამუშევარს მაღაზიაში ჰკიდებდნენ, მაგრამ მკერავს იქითკენ გახედვა რცხვენოდა.

ხან მანქანას ადანაშაულებდა, ხან დღისით ელექტრონის შუქზე მუშაობას, ხან ცუდ ქსოვილს, როცა არ იყიდებოდა მისი კაბები. მარტო მისი კი არა, საამქროში შეკერილი კაბები, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების შეკერილი.

კომკავშირულ ორგანიზაციას რომ ჩაუდგა სათავეში, ყველა თათბირი თუ კრება კაბების, ბოლოკაბების, კოსტიუმების შესახებ ლაპარაკით იწყებოდა და მთავრდებოდა.

რა ეღონათ? რა ექნათ?

მაიამ ახალგაზრდების ცხოვრების გალამაზება დაიწყო, რომ სამუშაოზე მოსვლა ჰყვარებოდათ. მათ თავიანთი ინტერესები და მოთხოვნილებები ჰქონდათ, საკუთარი კლუბი, სპორტდარბაზი, საცურაო აუზი უნდოდათ. რამდენი შრომა დასჭირდა კომკავშირელთა წინამძღოლს კლუბი (მართალია, სარაიონო) რომ გაეხსნათ. ამას მოჰყვა შეხვედრები, დღესასწაულები, ექსკურსიები, ურთიერთდაახლოება. ახალგაზრდებმა ნამდვილი საქმიანობა გაშალეს, შრომაში გარდატეხა შეიტანეს, მაღაზიაში უკეთესი ტანსაცმელი გააგზავნეს.

მაია კალმახელიძე, როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ხშირად აყენებს აქტუალურ საკითხებს.



საქ. სსრ კ. მარქსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ბევრი რამაა შეცვლილი ფაბრიკაში. საამქროებში დღისა და მზის შუქი დაბუდებულა, მკერავები უცხოურ მანქანებს ისე შეჩვევიან, რომ შრომა ეხალისებათ. საამოდ მისრიალებს ქსოვილი ახალდანადგარზე. წუნი თითქმის მოისპო. დღეს ორჯონიკიძის სახელობის ფაბრიკის მკერავთა „შემოქმედება“ მაღაზიის დახლებზე დიდხანს არ აწყვია, სწრაფად იყიდება. თბილისური პალტოები „მოდისტებმა“ სიამოვნებით ჩაიცვეს, და სადღაა, ვერც იშოვი!

მოხარშული ჯინსის კოსტიუმებმა გოგონები მოხიბლა; ხელოვნურმა ქურქებმა ცივი ქვეყნებისათვისაც „გაიმეტეს“ თავი.

კლუბი, სასადილო, დასვენების ოთახი, საექიმო პუნქტი, საბავშვო ბაღი — მალე ყველაფერი დღევანდელი დღის მოთხოვნის შესაფერისი ექნებათ.

აქედან ვინღა წავა?

ფეხსაც არავინ გაადგამს!

და წარმოიდგინეთ, მათ ნახელავს უკვე დაეძებენ, მათი კაბებით თავს იწონებენ!

ეს ხომ მადლობაა, დაუსწრებლად ნათქვამი!

ეს ხომ ადამიანის სიხარულით ავსებაა!

...საქართველოს ისტორიას, სხვადასხვა ქვეყნების ისტორიას თბილისის უნივერსიტეტში დაუსწრებლად სწავლობს მაია კალმახელიძე. როცა დაამთავრებს, არ იცის, რომელ გზას დაადგება, მკერავობის დათმობა ეძნელება...

თებერვლის დამლევს წინასაარჩევნო კრებაზე სახალხო დეპუტატობის ოთხი კანდიდატიდან სამნი დარჩნენ, მათ შორის 26 წლის მაია კალმახელიძეც იყო. ამომრჩევლებმა გაიგეს მისი მიზნები, ამოცანები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სახალხო დეპუტატობის კანდიდატი მაია კალმახელიძე ფიქრობდა ყველაფერი გაეკეთებინა დედათა და ბავშვთათვის, რომ მათ ჰქონოდათ ახალი საბავშვო ბაღები, სკოლები, საავადმყოფოები, დასასვენებელი სახლები, კლუბები, ახალშეუღლებულებს — ბინები, მუშა-მოსამსახურეებს — საცხოვრებელი სახლები.

იქ, სადაც ადამიანია, სადაც ქალი ფუსფუსებს და ბავშვი სუნთქავს (მისი წლინახევრის გოგონასავით) ყველაფერი უნდა ბრწყინავდეს. იქ, სადაც ადამიანები ცხოვრობენ, სწავლობენ, შრომობენ, უნდა იყოს მხიარულება, სიცილი, გულმხურვალება!

ლია კაკაბაძე

# „ახმეტელის თეატრი“ და „დავით გურამიშვილი“

1989 წლის 15 იანვარი თბილისის მეტრომშენებლობის მატიანეში ოქროს ასოებით ჩაიწერა. მრავალი წლის გარჯის შემდეგ, მეტროპოლიტენის მგზავრთა სამსახურში ჩადგა სადგურები „დავით გურამიშვილი“ და „ახმეტელის თეატრი“. მინისქვეშა მაგისტრალის სიგრძე „თემქიდან“ „ახმეტელის თეატრამდე“ 2,5 კილომეტრია. ახალი სადგურების ამოქმედებამ ყველაზე მეტად ავჭალის, კონიაკის, გლდანისა და მუხიანის დასახლებების მცხოვრებლები გაახარა. ტრანსპორტის ამ ყველაზე იაფმა და მოხერხებულმა საშუალებამ ქალაქის ცენტრს დაშორებულ მოსახლეობას მგზავრობის დრო დაუზოგა, საგრძნობლად განტვირთა ტრანსპორტი პიკის საათებში.



სადგური „დავით გურამიშვილი“



სადგური „ახმეტელის თეატრი"

მეტროს ყოველი ახალი სადგურის ამოქმედება მოვლენად იქცევა ხოლმე ქალაქის ცხოვრებაში. იმ სადღესასწაულო დღეებში თბილისელები მადლიერებით იხსენიებდნენ მეტრომშენებლებს, იმათ, ვისაც მისხლობით ჩაჰქონდათ სინათლის სხივი გვირაბში, უკუნს ამარცხებდნენ და მიწისქვეშეთს ადამიანთა სამსახურში აყენებდნენ.

„დავით გურამიშვილი" საქართველოს ქალაქმშენებლობის საპროექტო ინსტიტუტში დაპროექტდა. ავტორები არიან ცნობილი ხუროთმოძღვრები გია კარტოზია და ოთარ ჯაყელი. ურალური მარმარილოთი და კურსების გრანიტით მოპირკეთებულმა სამთაღიანმა სადგურმა პირველი ნახვისთანავე მოხიბლა მეტროპოლიტენის მგზავრები. მას თბილისგვირაბმშენის პირველი სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო (უფროსი გივი ნიკოლაიშვილი, მთავარი ინჟინერი გიორგი გაგნიძე) აშენებდა. 36-ე შახტის (ასე ერქვა სადგურს მშენებლობის პროცესში) უფროსი ელდარ ცუცქირიძე ახალგაზრდა, მაგრამ გამოცდილი სამთო ინჟინერია. იგი თბილისგვირაბმშენის დიდი შრომითი ტრადიციების კოლექტივში აღიზარდა, როგორც სამთო საქმის სპეციალისტი და მომავალი შახტის ხელმძღვანელი. ამ უბნის მშრომელთა სასახელო საქმეები მრავალჯერ გაუშუქებია რესპუბლიკის პრესას, რადიოსა და ტელევიზიას. ორიოდე სიტყვით ძნელია თქვა გვირაბგამყვანთა რთულ, ვაჟკაცურ და რომანტიკულ პროფესიაზე. კომპლექსური ბრიგადები, რომლებსაც სათავეში ედგნენ თბილისგვირაბმშენში ყველასათვის ცნობილი გამოცდილი გვირაბგამყვანები გურამ სხილაძე, თევდორე კაჩმაზოვი, გურამ ქუმარიტაშვილი და სხვები, ხშირად იკავებდნენ მეტრომშენებელთა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის კვარცხლბეკს.

მეტროს სადგური „ახმეტელის თეატრი" იმავე საპროექტო ინსტიტუტის ვლადიმერ ქურთიშვილის სახელოსნოში დააპროექტეს არქიტექტორებმა ნოდარ რაზმაძემ და სულიკო ჩოლოყაშვილმა. სადგურის ვესტიბულის მისასვლელის პროექტი შეადგინეს თბილისქალაქპროექტის ახალგაზრდა ხუროთმოძღვრებმა თამაზ ბოჭორიშვილმა და ჯემალ ხუხუნაიშვილმა. სადგურს ჯერ მე-13 საგვირაბო რაზმი აგებდა, მერე მე-5 (რაზმის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ბექარ შალიკაშვილი, მთავარი ინჟინერი თენგიზ შურღაია).

38-ე შახტის (ასე ერქვა ამ ობიექტს) უფროსს ავთანდილ გუჯაბიძესა და დახრილი გვირაბის სამშენებლო უბნის ხელმძღვანელს თენგიზ ცომაიას, რამდენი უძილო ღამის გათევამ მოუწიათ სანამ სადგური საექსპლოატაციოდ გადაეცა. სხვადასხვა მიზეზის გამო ობიექტის ამოქმედების წინ საჭირო გახდა თბილისგვირაბმშენის თითქმის მთელი სამუშაო ძალის ამ უბანზე თავმოყრა. კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მიმართვას ახალგაზრდებისადმი ასობით ჭაბუკი გამოეხმაურა. ქალაქის ყველა რაიონის საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მოდიოდნენ მოხალისეები, თავიანთი მცირე წვლილი შეჰქონდათ მამულიშვილურ საქმეში. ბოლო ორი თვის მანძილზე თითქმის ყოველდღიურად იმართებოდა ოპერატიული თათბირი, სადაც ქალაქის ხელმძღვანელებთან ერთად, თბილისგვირაბმშენის სამმართველოს უფროსი უშანგი გოჯიაშვილი, მთავარი ინჟინერი ბუდუ ფაჩულია და სხვა სპეციალისტები დამხმარე და სუბმოიჯარე ორგანიზაციების უფროსების თანდასწრებით სწყვეტდნენ მშენებლობის საჭირბოროტო საკითხებს.

დიდმა ძალისხმევამ, თავდადებულმა გარჯამ, საერთო მობილიზებამ ნაყოფი გამოიღო. განვლილ მძიმე დღეებს ახლა ხალისით იხსენებენ გვირაბგამყვანთა ბრიგადების თავკაცები ელდარ ჯინჭარაძე, ზურაბ ჯოხაძე, იური ხეცურიანი, იუზა ნადირაძე, ხახული ბიბილაშვილი, ზურაბ მიმინოშვილი და სხვები.

ბევრმა არც კი იცის, რომ თბილისის მეტროპოლიტენის სადგურების თაღების უმეტესი ნაწილი ქალების გალესილია. ასე იყო ახლაც, საკმეტროსპეცმშენის მლესავ ქალთა ბრიგადამ, რომელსაც ვალენტინა ხარიტონოვა ხელმძღვანელობდა, დიდებულად გაართვა თავი საქმეს. ქალთა ნახელავს წუნი ვერ მოუნახეს და ეს, უწინარეს ყოვლისა, ამ ბრიგადის წევრების, მინსკელი ლუდმილა კოროტევიჩის, კიეველი ლუბოვ დროზდის, მოსკოველი გალინა გარნოვიჩისა და სხვათა დამსახურებაა.

„ახმეტელის თეატრი" სალიეთისა და ცუცხვათის ქართული და ურალური ქათქათა „კოელგის" მარმარილოთი შემოსეს საკმეტროსპეცმშენის ბაქოს მომპირკეთებელთა უბნის ოსტატებმა, რომელთაც რაფაელ არაქელიანი ედგა სათავეში.

ახლა ჩვენი მეტროპოლიტენი 21 სადგურს ითვლის, მაგრამ თბილისელი მეტრომშენებლები მოწადინებულები არიან ორი წლის შემდეგ საბურთალოს ხაზის სიგრძე 2,2 კილომეტრით გაზარდონ და აქ ორი სადგური „ბახტრიონი" და „ვაჟა ფშაველა" ააშენონ. შარშან დაიწყო „რუსთაველი-2" — „ვაზისუბნის" ხაზის მშენებლობა, სადაც განლაგდება სადგურები „რუსთაველი-2", „კარლ მარქსის მოედანი", „ელია", „მეტრომშენებელთა მოედანი" და „ვაზისუბანი". თბილისის მეტროპოლიტენის მგზავრებს კიდევ ბევრი სიხარული მოელით.

გია მელუავა

ლია ხუბაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო...

მოთხრობა

მხატვარი კარლო ფაჩულია

დღეს ჩემი შვილის დაბადების დღეა. სამი წლისა შესრულდა. ცომს გულმოდგინედ ვაგუნდავებ და ვცდილობ, გავიხსენო ყველა წვრილმანი, რაც სამი წლის წინ, გაზაფხულზე მოხდა...

ჩიტუნია, ჩიტუნია...

ჩემს პატარას ჩიტოს ვეძახი. ნამდვილი სახელი კი ნელი ჰქვია, მაგრამ ნელის ისევ ჩიტო მირჩევნია.

ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო...

ისე კი, მართლა პატარა ჩიტსა ჰგავს. მოცუცქნულ სახეზე ჩიტივით ლამაზი პატარა ცხვირი აქვს, დიდი შავი თვალები, პაწაწინა ალუბლისფერი ტუჩები. მოკლედ, ყველაფერი პატარა და ლამაზი აქვს. თვითონაც ხომ სულ ერთი ციდაა. ეჰ, ალბათ ყველა დედას ასეთი ლამაზი ჰგონია თავისი შვილი და მე გამონაკლისი ხომ არ ვიქნები...

ფიქრებიდან ბავშვის ტიტინმა გამომარკვია.

— დედიკო, დედიკო, დიდ ტორტს ხომ გამომიცხობ? — უკვე მერამდენედ მეკითხება ჩიტო და რადგან პასუხი წინასწარ იცის, გულარხეინად უბრუნდება თავის თოჯინას.

— კი, შვილო, კი — ვეუბნები და ისევ ვიძირები ფიქრებში...

— იცოდე, დაიძინე, თორემ დედიკო ტორტს აღარ გამოგვიცხობს, — ებუზღუნება ჩიტო „შვილიკოს“ და გულმოდგინედ უკეცავს საბანს. მე კი ვცდილობ ყველაფერი გავიხსენო... და ვადარებ, დაუსრულებლად ვადარებ ჩემს წარსულს დღევანდელ დღესთან....

* * *

ვგრძნობ, რომ ვიტანჯები, მაგრამ ძილს თავს ვერ ვართმევ. უეცრად საშინელმა შეტევამ გონზე მომიყვანა.

— ჯერ ხომ ადრეა. ნუთუ უდღეური ბავშვი უნდა მეყოლოს?

ძალიან შემეშინდა. ვაითუ, ამდენმა ნერვიულობამ იმოქმედა და ნაადრევი მშობიარობა მელის? საშინელმა ფიქრებმა გამიელვა, წამოვლილმა ტკივილმა კი ყველაფერი დამავიწყა... როცა გონზე მოვედი, წამოდგომა ვცადე, მაგრამ წამსვე გადავიფიქრე.

— არა, არა, ცოტასაც მოვითმენ, მთელი ღამის უძინარები არიან და დაისვენონ.

ალბათ დავიკვნესე. მეორე ოთახიდან ზურას ბებია გამომეხმაურა:

— ნანა, შვილო, ხომ არაფერი გაწუხებს?

— არა, ბებია, — ვუპასუხე და ისევ დავუბრუნდი ჩემს აფორიაქებულ ფიქრებს.

ძალიან მეცოდება ჩემი შვილი, რომელიც ჯერ არ მოვლენია ქვეყნიერებას და უკვე უბედურია. მისი გაჩენა აღარავის ახარებს. ველარ ვარჩევ, სული უფრო მტკივა თუ სხეული... გავიდა ერთი საათი, ორი, და ტკივილი გაუსაძლისი გახდა. როგორც იქნა, მოვახერხე წამოდგომა და გავედი დედამთილის ოთახში.

— დედა, აღარ შემიძლია, — ვუთხარი და ცრემლები წამომცვივდა.

დედამთილ-მამამთილი დაფაცურდნენ და თხუთმეტ წუთში უკვე სავადმყოფოსაკენ მიმაქანებდა მანქანა....

როცა ზევით ამიყვანეს, დავინახე, რომ ჩემსკენ თეთრ ხალათში ჩაცმული მეზობლის ქალი გამოემართა. მის დანახვაზე ისეთი სიხარული ვიგრძენი, თითქოს ზეციდან ჩემი მფარველი ანგელოზი ჩამოფრენილიყო... მარო დეიდას შევეცოდე და გვერდით მომიჯდა. მის ხელს ჩავებღაუჭე, შემეშინდა, არსად წასულიყო.

ტკივილი თანდათან მემატება და მგონია, საცაა გონებას დავკარგავ. სუნთქვა აღარ შემიძლია. მარო დეიდა მეხვეწება: იყვირე და მოგეშვებაო, მაგრამ ხმას ვერ ვიღებ. მგონია, რომ დავიყვირო, სულსაც ამოვაყოლებ და ვითმენ, ვითმენ რამდენადაც ვახერხებ.

— მარო დეიდა, მიშველე რამე, აღარ შემიძლია, — ვჩურჩულებ და ვგრძნობ, რომ უკვე მართლა აღარ შემიძლია. ოღონდაც დასრულდეს ეს ყველაფერი და სიამოვნებით დავთმობ სიცოცხლეს...

* * *

როგორც იქნა დასრულდა ეს ჯოჯოხეთი.

— გოგოა!! — ამბობს ექიმი.

ამის გაგონებაზე ჟრუანტელმა დამიარა. — ნუთუ გოგოა? მეორე გოგო? საზიზღარი გრძნობა დამეუფლა. ბავშვისაკენ გახედვა აღარ მინდა.

— როგორ თუ გოგოა: რას იტყვის ზურაბი, როცა გაიგებს, რომ მეორეც გოგო გვეყოლა. მას ხომ ბიჭი უნდოდა... და ის იმედიც, რომელიც აქამდე მასულდგმულებდა, რომ იქნებ ბიჭის გაჩენას მაინც შემოებრუნებინა ცხოვრებისაკენ ჩემი თავგზააბნეული მეუღლე, ხელიდან გამომეცალა...

* * *

მაშინ რომ ეთქვათ ჩემთვის, სამი წლის შემდეგ თავს ბედნიერად იგრძნობო, ალბათ სიცილს დავაყრიდი.

სამი წელი... მგონია დროის შეგრძნება დავკარგე. ეს სამი წელი, ხან ერთ გაელვებად მომეჩვენება, ხან კი უსასრულოდ გაწელილი. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რა ფორმით ვხედავ დღევანდელ დღეს. ადრე ჩემი ცხოვრება (უფრო სწორედ ჩემი ცხოვრება მას შემდეგ, რაც გავთხოვდი) წარმომედგინა, როგორც ერთი შავი მასა, რომელსაც არც ფორმა აქვს, არც სუნი, არც გემო, არც სიგრძე-სიგანე გააჩნია, აქვს მხოლოდ ფერი —შავი ფერი. და ეს უფორმო ისე შემოგხვევია ტანზე, სახეზე, რომ სუნთქვის საშუალებას არ გაძლევს. ახლა კი სულ სხვა თვალით ვუმზერ დღევანდელ დღეს. მგონია ეს ეს არის შემოვიგლიჯე სხეულიდან ეს საზიზღარი მასა და ღრმად, მთელი სხეულით ჩავისუნთქე სუფთა, ცის ლაჟვარდივით გამჭვირვალე ჰაერი.

მაგრამ, თურმე, წარსულს ვერ დაივიწყებ. ვერ დაივიწყებ, იმიტომ რომ შენი წარსული, შენს მიერ განვლილი გზაა. და ადრე იქნება თუ გვიან, ამ გზას თვალი მაინც უნდა გადაავლო, შეაფასო. ძალიანაც რომ ეცადო მისი დავიწყება, თვითონ შეგახსენებს თავს, დაუპატიჟებლად გეწვევა, დაიპყრობს შენს გულსა და გონებას. წამით მაინც დაგაბრუნებს, ჩაგასახლებს უკვე თითქოსდა დიდი ხნის წინ განვლილ დროში. არადა, დაივიწყო შენი წარსული. ის იმას ნიშნავს, რომ ხაზი გადაუსვა და უკვალოდ გააქრო დროის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონაკვეთი, რომელიც თუნდაც წამებში, საათებში, ბოლოსდაბოლოს წლებში იზომება. ყველას და ყველაფერს ხომ თავისი წარსული აქვს — ქვას, ხეს, დედამიწას და თვით სამყაროსაც კი. და იმის მიუხედავად, კარგია თუ ცუდი ეს წარსული, ის მაინც საკუთრებაა, დიახ, კერძო საკუთრება. ჩემი წარსული — მხოლოდ ჩემია, ჩემი საკუთარი და რაგინდ მძიმეც უნდა იყოს ჩემთვის მისი გახსენება, მაინც ვიხსენებ, ვიხსენებ...

* * *

— აბა შენ იცი და შენმა ქალობამ, ნანა. ისე უნდა გაზარდო ჩვენი ბიჭი, რომ ჩემი სახელი არ შეარცხვინოს. ვიცი, ძლიერი ადამიანი ხარ და ყველაფერს გაუძლებ, — მეუბნება ზურაბი და ამღვრეულ თვალებს არ მაცილებს.

მე კი ვტირი და ვცდილობ, იქნებ როგორმე მოვულბო გული და თავი შევაცოდო. მინდა ვიკივლო, რომ არა ვარ ძლიერი, რომ მე ყველაზე სუსტი ვარ და მჭირდება მეგობარი, რომ დამეხმაროს, მხარში ამომიდგეს, რომ ვერ შევძლებ მარტო ორი ბავშვის გაზრდას. მაგრამ სათქმელს უკან ვიბრუნებ. მხოლოდ ვტირი. იქნებ შევეცოდო, იქნებ მიხვდეს, იქნებ...

მაგრამ არაფერი გამომდის. მას არც მე ვენანები და არც ის შვილი, რომელიც ჯერ არ დაბადებულა და მისი „წყალობით“ უკვე უბედურია. ზურაბს არავინ არ ეცოდება. ემშვიდობება ყველას და შეშლილი სახით მიდის. თვითონაც არ იცის სად. მხოლოდ იმას გვპირდება, რომ, როცა სადმე დაბინავდება, უეჭველად შეგვატყობინებს.

* * *

როგორც იქნა გამიყვანეს პალატაში. ცოტა ხნის შემდეგ შემოვიდა ბავშვის ექიმი და მეუბნება, რომ მეყოლა ძალიან კარგი, ჯანმრთელი გოგონა. ექიმი კიდევ რაღაცას მეუბნება, მაგრამ მე უკვე აღარ ვუსმენ. ის გაკვირვებით მიყურებს და პალატიდან გადის, ალბათ ხვდება, რომ აღარ ვუსმენ. ჩემთვის კი ყველაფერი სულერთია. საოცარი გულგრილობის შეგრძნება მეუფლება. დავკარგე უკანასკნელი იმედი, რომელსაც წყალწაღებულივით ვეჭიდებოდი. უკვე მაშინებს იმაზე ფიქრი, როგორ წარვმართავ ჩემს ცხოვრებას. რა უნდა ვაკეთო?.. აზრები უკვე ერთმანეთში მერევა...

* * *

მივიღე დედაჩემის გამოგზავნილი ბარათი. სულში საოცარი სითბო ჩამეღვარა. ჩემი დედიკო... ძალიან მომინდა, ჩავეკრა დედაჩემს მკერდში და ყველაფერი დამევიწყო. სულმოუთქმელად ვკითხულობ ბარათს. დედა მილოცავს მეორე გოგოს და ამატებს: „შვილო, ბედნიერი ხარ, რომ მეორეც გოგო გეყოლა“... წავიკითხე ერთხელ, ორჯერ და... მივხვდი, რომ საშინელი ცოდვა მადევს კისერზე, ცოდვა ჩემი შვილის მიმართ. მე არ დავინდე... მე... დედამ... ღმერთო ჩემო, რა მომივიდა, რამ გადამიკეტა გონების კარი. ჩემი შვილი... ჩემი სისხლი-სისხლთაგანი და ხორცი-ხორცთაგანი. ნუთუ ასე გადამიყვანა ჭკუაზე იმ ეგოისტმა კაცმა, რომ საკუთარი შვილი, რომელსაც მხოლოდ ის ედება ბრალად, რომ გოგოდ მოევლინა ქვეყანას, შევიძულე და მისთვის დედური სითბო დავინანე? ისე მომინდა ჩემი შვილის ნახვა, რომ დავაპირე წავსულიყავი ჩვილთა პალატაში და მომეთხოვა, დაუყოვნებლივ ეჩვენებინათ ჩემი პატარა გოგონა... ამის გაფიქრებაც ვერ მოვასწარი და ბავშვის ტირილის ხმა მომესმა.

— მოჰყავთ, მოჰყავთ! — გამიელვა თავში და გიჟური სიხარული ვიგრძენი. აი, შემოიყვანეს კიდეც. სულ ერთი ციდაა. რა საოცარია, რა საოცარი. რა აზრიანად იყურება. ისეთი სახე აქვს, თითქოს რაღაცას უგდებს ყურს, რაღაცაზე ჩაფიქრებულა. ვიგრძენი, რომ ბავშვის დანახვაზე ჩემ სულში საოცარი გარდატეხა მოხდა. პატარა გოგონას მიმართ უძირო დანაშაულის შეგრძნებამ ისეთი ზიზღი გამოიწვია საკუთარი თავისადმი, რომ ლამის ამოვიგლიჯო გული და შორს მოვისროლო.



დავადე თავი ჩემს პატარა შვილიკოს, რომელიც მუთაქასავით შეკრული მიწევს გვერდზე და ტირილით გული მოვიოხე. თან ვეჩურჩულები, რომ მაპატიოს და შემინდოს. ის კი წევს და ისეთი სახე აქვს, თითქოს ფიქრობს, მაპატიოს თუ არა.

* * *

გულმოდგინედ ვრთავ ტორტს. მინდა რაც შეიძლება ლამაზი გამოვიდეს, რომ გაიხაროს ჩემმა გოგონამ.

— დედიკო, რა ლამაზია! — ყვირის აღფრთოვანებული ჩიტო და ცდილობს თითი გამოუსვას ყველაზე დიდ კრემის ყვავილს.

საოცრად ლამაზი დღეა. მზით გაკაშკაშებული. ცაზე ღრუბლის ნაგლეჯიც კი არსად ჩანს. იგრძნობა, რომ გაზაფხული ძალაში შედის...

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „ვარ პირმშო მისი“

მას ხშირად ვერ შეხვდებით მწერალთა კავშირში, რედაქციებში, გამომცემლობებში. ქალაქშიც იშვიათად მოჰკრავთ თვალს... ელენე დიდიმამიშვილი წინაპართა სამკვიდრებელს დაუბრუნდა — თავის მესხეთს და იქიდან გვაწვდენს ხმას პოეტისას... მგალობელი ფრინველივით არ ჩანს, მისი ხმა კი გვესმის და იგი ჩვენი სულის თანაზიარი ხდება.

„ვინა ვარ? — ერთი ტრფიალი,
ჩემი სამშობლოს მთა-ბარის,
გული — ვარდების ზიარი,
მზის ჩანჩქერებით ნაბანი,
მე სიყვარულის მონა ვარ,
ალმოდებული მზესავით,
მივყვები ნიავს, ონავარს
მარადის დაუკვნესარი“.

(„ვინა ვარ?“)

ასე თამამად და ლამაზად წარმოსახავს თავის პიროვნებას პოეტი ქალი, და არასოდეს ავიწყდება, რომ სწორედ პიროვნების ძალა და მომხიბვლელობა საკუთარი ქვეყნის უსაზღვრო სიყვარულშია:

„მე უფრო მიყვარს შენი ზეცა,
შენი სერები,
კვლავ რიდით ვუმზერ სიდიადეს
უმაღლეს მთათა...
მოღლილი გზებით შენს ალვებქვეშ
შევისვენებდი,
დავითენებდი განთიადს მათთან“...

„მე ლალი სამხრეთელი ვარ“ — ერთგან ამბობს პოეტი. ახალციხეში დაიბადა, ქველმოქმედებით ცნობილ დიდიმამიშვილების ოჯახში. მამამ — ზაქარია დიდიმამიშვილმა რევოლუციამდელ მესხეთს მართლაც რომ დიდი ღვაწლი დასდო. ხშირად იბეჭდებოდა მისი წერილები ქართულ პერიოდიკაში, სადაც მესხეთის დაუთვლელი ტკივილები იყო გამჟღავნებული. იგი პირადად იცნობდა იოსებ იმედაშვილს, იოსებ გრიშაშვილს, სავლე აბულაძეს... რამდენ ცნობილ მოღვაწეს მოუყრია თავი მათ ოჯახში! დედა შესანიშნავად უკრავდა პიანინოს და მღეროდა პატარა ელენესა და მისი დაიკოს თანხლებით. მერე მამა გარდაეცვალათ.

„რთულია ცხოვრება, არ დაგილევს სალხენსა და საწუხარს, მით უმეტეს, თუ ისე გაიზარდე, თავზე მამა არ დაგდგომია მფარველად, არც ვინმე გულშემატკივარი“...

ერთი შეხედვით, თითქოს იოლი იყო ელენე დიდიმამიშვილის ცხოვრება. დაამთავრა ახალციხის I ქართული საშუალო სკოლა, სწავლობდა ფილოლოგიის ფაკულტეტზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მუშაობდა ჟურნალ „პიონერში“, „ნორჩი ლენინელში“.

„ახლა, როცა ჩემს წარსულზე ვფიქრობ, ვიცი, რომ სიძნელეები ჩემს ცხოვრებაში შემდეგ დაიწყო, როცა სერიოზულად დავიწყე ფიქრი ლექსებზე. ლექსები მექცა ჭირადაც და ლხინადაც. თავისთავად ძნელია ჭეშმარიტი პოეზიისაკენ მიმავალი გზა, თანაც ამ გზაზე სიარულს არა ერთი და ორი მრუდე მსაჯულიც ართულებს ხოლმე. ვინ მოსთვლის, რამდენი გულისტკივილი შემხვედრია... არ ვნანობ... იცით? — ყველა ლექსი, რომელიც გამორჩეულად მიყვარს, ტკივილმა დამაწერინა“.

„ყოველი წუთი სუნთქვაა ჩემი, მარად ფხიზელი. ყოველ იმედზე თეთრად თენება — ხვალის მადლია. არ მიმღერია განდიდებით მე სხვა კილოზე, განცხრომა ჩემი — ფიქრია მაღალ საგაზრდილოზე“, — წერს ერთგან.

მისი ლექსები დიდი სითბოთი, უშუალობითა და გულწრფელობით ხიბლავს მკითხველს. მეტად საინტერესო ლექსებია: „გეთქვა, ოღონდ გეთქვა“, „თეთრი ნიღაბი“, „ალბათ წავიდა“, „მე ვიგონებდი ადრეულ დღეებს“, „იმედით, რწმენით“... ხოლო ლექსთა კრებულებში: „ცისკრის მელოდიები“, „ლურჯი სინათლე“, „იმედი ჩემი“ მრავალ ასეთ მშვენიერ ლექსს შეხვდებით.

„მე მაშინ ვწერ ლექსს, თუ მაწუხებს რამე, ან მახარებს“...

ხოლო პოეტის ყველაზე დიდი საწუხარიც და ყველაზე დიდი სიხარულიც მამულია, სამშობლო მისი.

„ამ მიწის სიცოცხლეზე ვმღერი,
ვარ პირმშო მისი —
ლხინად და დარდად მისად,
ვარ მხოლოდ სულ მცირე
მტვერი —
ჩემი საქართველოს
დიდებული გზისა“.

(„ქარაფებზე მინაწერი“)

**მანანა ზარიძე**

## ელენე დიდიმამიშვილი

* * *

ვინა სთქვა, ბედი
რომ შენს ხელთ არი,
ის შენი წერა არის
მარადის...
ზოგთათვის ამო,
ზოგთათვის შხამი —
განუყრელია
კარით-კარამდი...
უნდა იფიქრო,
ხარ გამოცდაზე
ამ წუთისოფლით...
თუკი გაუძლებ, —
პირნათელია
ნაყოფი ოფლის...
და, ვინც ინება
სიცოცხლე შენი, —
იგივ მიგითვლის
მაღალი განსჯით...
განიზიდება
სიობლე ძნელი,
კეთილს — ალავლენს,
ვინა სთქვა, ბედი
რომ შენს ხელთ არი...

## ჩემი მაღალი ზეცა...

ათასი სპარსიც რომ ალსდგეს,
მე ვერ წამართმევს სამცხეს...
ათასი სულთანიც რომ ალსდგეს,
ვერ დამაშორებს სამხრეთს...
ო, ჩემი მთების ქიმი
სუნთქავს უკვდავი ღიმით,
ვერა დააკლოს კენჭმა,
ლორლებში ჯოჯოთ ღრეჯვამ...
ჩემი ჰერი და ზეცა
ისე მაღალი არი,
ვერ მიეწიოს ვერსად
უქმი ჩხავილი ყვავის...
ჩემი სიმღერის ჰანგებს
ერის ნათელი ათოვს...
მე მხოლოდ ერი მალხენს,
მე ერის გულში ვსახლობ.
ათასი მტერიც რომ ალსდგეს, —
მე ვერ წამართმევს სამცხეს...

* * *

შენს მცირე სურვილზე
კლდის ქიმით აფრინდა...
სათუთად მოსწყვიტა უკვდავა,
მოგიძღვნა რიდით და
ღიმილის მადლითა,
ეს იყო გამხელაც... მუდარაც...
... მაგრამ დრო იგი
უხმარად აგცდა,
მზის ხეივანში
შემოგწვდა თქეში.
და, ბოლოს ლამაზი
უკვდავას ნაცვლად,
მისგან საყვედური
შემოგრჩა ხელში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კეთილი გზით ევლოს



რიგებად ჩამწკრივებულ ბოსტნეულის კვლებში დინჯად მიაბიჯებს ქალიშვილი. იგი გულდაგულ აკვირდება თითოეულ ნერგს და თუ სადმე მოყვითალო ფოთოლს შეამჩნევს, ფრთხილად აცილებს, მერე სათბურში შედის, იქაც ჩვეულ ყურადღებას არ აკლებს მცენარეებს. ასე იწყება ყოველი დილა ზესტაფონის მებოსტნეობა-მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოს პარტიული ორგანიზაციის მდივნისათვის მანანა გიორგაძისათვის.

— საოცრად შრომისმოყვარე, საქმიანი ქალიშვილია, — ასე ახასიათებენ მანანას თანამოსაქმენი. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. მიწის სიყვარულს ბავშვობიდანვე, ოჯახში ეზიარა. დედ-მამამ გარჯის სიყვარულით გაზარდა ოთხივე შვილი და რა გასაკვირია, რომ მანანას საქმისადმი ერთგულება და პატივისცემა ბავშვობიდანვე გამოჰყვა. მეურნეობაში ძირითადად კიტრი, პამიდორი და სხვა ბოსტნეული მოჰყავთ. მუშები უვლიან აყლორტილ ნერგებს, ორგანული და მინერალური სასუქი შეაქვთ, რწყავენ, თოხნიან და მარგლიან, დღენიადაგ ზრუნავენ სიუხვე, ბარაქა არ მოაკლდეთ.

— დიახ, მიყვარს ჩემი მეურნეობა, ხალხი, რომელიც ჩემს გარშემო ფიზიკურად შრომობს. ვისაც სოფლად უცხოვრია, იცის რა შრომატევადია მიწის მოვლა და პატრონობა. ჩვენი მეურნეობის მუშები, ყველანი ერთად ვართ და ამიტომ შრომის სიმძიმესაც ადვილად ვართმევთ თავს, — ამბობს მანანა.

მეურნეობაში დასაქმებული ადამიანების ურთიერთკავშირი ბრიგადული საიჯარო ურთიერთობის ჩამოყალიბებამ განამტკიცა.

მანანა საუბრობს: — ჩვენს მეურნეობაში (დირექტორი დ. გიორგაძე) სამი საიჯარო ბრიგადაა, — ორი მებოსტნეობისა და ერთიც მემცენარეობის. მე მებოსტნეობის პირველ ბრიგადაში ვმუშაობ, რომელშიც 16 კაცია გაერთიანებული. ბრიგადირია ზურაბ ედიბერიძე, რომელიც თავის მეუღლე გულნაზთან და ვაჟიშვილ გურამთან ერთად მოვიდა ჩვენს კოლექტივში. ისინი სასათბურე მეურნეობაში მუშაობენ, სადაც კიტრი, პამიდორი და ხენდრო მოჰყავთ. პირველ ბრიგადაში ძირითადად ახალგაზრდები ვართ და ყველა ჩვენგანს გვახარებს ის წარმატება, რასაც საიჯარო ბრიგადულ სისტემაზე მუშაობისას მივაღწიეთ. ჩვენმა ბრიგადამ, რომელსაც 15 ჰექტარი ფართობი უჭირავს (აქედან 6 ჰექტარი სასათბურე მეურნეობას აქვს დათმობილი), სეზონში 12 ტონის ნაცვლად 18 ტონა ბოსტნეული მოიწია. მოსავალი მთლიანად საქსოფდამზადებას ჩავაბარეთ.

მეორე ბრიგადაში 14 კაცი მუშაობს (ბრიგადირი ა. ცხელაშვილი). მათ ძირითადად ჭარხალი, ხახვი, ნიორი, სხვადასხვა სახის ბოსტნეული 15 ჰექტარ ფართობზე მოჰყავთ. შარშან გეგმით გათვალისწინებული 4-ის ნაცვლად 7 ტონა ჭარხალი მიიღეს, 40-ის ნაცვლად — 79 ტონა ხახვი. — მერვე ბრიგადაში (ხელმძღვანელი ქ. ზიბზიბაძე) ძირითადად მემცენარეები არიან. 15 ჰექტარზე გაშენებული აქვთ ვენახი, 15 ჰექტარზე კი მარცვლეული კულტურები მოჰყავთ. ამ ბრიგადაში 35 კაცია დასაქმებული. მათ 30 ტონა მარცვლეულის ნაცვლად 36 ტონა სიმინდი და ხორბალი მოიწიეს, 20-ის ნაცვლად — 27 ტონა ყურძენი. ბრიგადის მაჩვენებლებზე საუბრობს მანანა და თან კიტრის სათბურებს გვათვალიერებინებს.

— რაც შეეხება ტექნიკით უზრუნველყოფას, პირველ საიჯარო ბრიგადას ახალი „ბელორუსის" მარკის ტრაქტორი ჰყავს. მეურნეობას სატვირთო ავტომანქანები ემსახურება. სიძნელეებს ძირითადად განვიცდით იმ მხრივ, რომ გვაკლია მუშახელი, რაც განპირობებულია სატრანსპორტო საშუალებების ნაკლებობით. რაიონის ხელმძღვანელობა გვპირდება უახლოეს დროში ახალი ავტობუსის გამოყოფას, რაც ხელს შეუწყობს მეურნეობას მეტი მუშახელის მიზიდვაში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მეურნეობაში ხელფასი გამომუშავებაზეა დამოკიდებული. ყოველ ნამუშევარ საათზე მანეთი გვერიცხება ავანსის სახით. თითოეული მუშის საშუალო ანაზღაურება 220-250 მანეთს აღწევს. მეურნეობასთან არსებობს, აგრეთვე, მეღორეობის საიჯარო ბრიგადა (ბრიგადირი გ. გიორგაძე), სადაც 1400 საჯიშე ღორი ჰყავთ.

მანანა გიორგაძე 25 წლისაა. სამი წელიწადია, რაც მეურნეობაში მუშად მუშაობს. არ გაურბის ფიზიკურ შრომას. ყოველ დილით პირველი მიდის მეურნეობაში და შინაც გვიან ბრუნდება. ზესტაფონის მებოსტნეობა-მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოს კოლექტივის კომუნისტებმა ახალგაზრდა კომუნისტი სწორედ ამიტომაც აირჩიეს პარტიული ორგანიზაციის მდივნად. მანანამ ამ საქმეს კარგად გაართვა თავი. იგი რაიონის ახალგაზრდა აქტივისტია. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზეც სწავლობს. მის გარშემო შემოიკრიბნენ ზესტაფონის რაიონულ ცენტრში მცხოვრები ქალები: ნელი ბოგვერაძე, მაყვალა ქურდაძე, ელენე გოგნაძე, ლემა ყიფშიძე, ლია და ეთერ ბარბაქაძეები, პელო კიკნაველიძე და სხვები, რომლებიც მეურნეობაში შრომობენ.

უყვარს მანანას საქმე, სოფელი, ხალხი. საღამოხანს იგი დაღლილი მიუყვება სოფლის შარაგზას. დაღლილია, მაგრამ მაინც კეთილი ღიმილი უთამაშებს სახეზე, რადგანაც იცის, რომ სიკეთით დაწყებულ საქმეს ბოლო სასიკეთო ექნება.

**ირმა კეკელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ეს უჩვეულო კოოპერატივი

# შვება და სიხარული

ხალხის უანგარო სამსახური, მისი გულისტკივილის, ჭირ-ვარამის გაზიარება ადამიანის ყველაზე უმაღლესი თვისებაა.

დღესდღეობით არაერთი კოოპერატივია გახსნილი, მაგრამ ისეთი, რომლის შესახებაც ახლა გიამბობთ, პირველია.

„უნივერსი" — ასე ეწოდება კოოპერატივს, რომელიც გასული წლის ოქტომბერში შეიქმნა. ეს არის პირველი საქველმოქმედო კოოპერატივი არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მთელს საბჭოთა კავშირში.

„უნივერსი" არც თავისი შინაარსით ჰგავს სხვა საქველმოქმედო ორგანიზაციებს, ძირითადად შემოწირულობებით რომ ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას და არც ჩვეულებრივ კოოპერატივს, რადგანაც ესენი საკუთარ თანხებს, როგორც წესი, თავიანთი საჭიროებისათვის იყენებენ.

„უნივერსი" კი, ჯერ ერთი, საკუთარი სახსრებით არსებობს, და მეორე, მისი წევრების საერთო კრების გადაწყვეტილებით, წმინდა შემოსავლის 50 პროცენტს ინვალიდების, ხანდაზმულების, მარტოხელა და მიტოვებული ადამიანების, აგრეთვე ვეტერანების და ობოლი ბავშვების საჭიროებებისათვის ხარჯავს, 30 პროცენტს — ქველმოქმედების არეალის გაფართოებისათვის იყენებს და მხოლოდ 20 პროცენტი ხმარდება მის წევრთა საჭიროებას. კოოპერატივი არც შემოწირულობებსა და არც გადარიცხვებზე ამბობს უარს. ოღონდაც, აქ უკვე სხვა წესი მოქმედებს: თუ შემომწირავი პირი წინასწარ არ მიუთითებს შემოწირულობის მიზანს, სახსრების 70 პროცენტი უფასო მომსახურებას ხმარდება, 30 პროცენტი კი — ქველმოქმედების არეალის გაფართოებას.

კოოპერატივი დღემდე მისი წევრების მიერ შეტანილი თანხებით არსებობდა, იანვარში კი გაიმართა საქველმოქმედო კონცერტი ცნობილი ქართველი მუსიკოს-შემსრულებლების მონაწილეობით...

მრჩეველთა მუდმივმოქმედი საბჭოს მითითებით კოოპერატივმა საკუთარი სახსრებით ამ კონცერტზე მოიწვია ლესელიძის სახელობის სკოლა-ინტერნატის 100 აღსაზრდელი და გადაწყვეტილი აქვთ მომავალშიც მოიწვიონ საბავშვო სახლების აღსაზრდელები.

მარტში დაგეგმილია სრულიად რუსეთის საპატრიარქოს საგამომცემლო განყოფილების გუნდების გასტროლები. ისინი ჩვენს დედაქალაქში გამართავენ კონცერტს. მათ უკვე გაეგზავნა იმ ქართული საგალობლების ნოტები, რომლებსაც ეს გუნდი ქართულად შეასრულებს.

უახლოეს მომავალში დაგეგმილია გამოფენა-კონკურსის მოწყობა ქველმოქმედების თემისადმი მიძღვნილი საუკეთესო ფერწერული ტილოს, გრაფიკული და სკულპტურული ნამუშევრების გამოსავლენად. დაწესებულია პრემიები, პრიზები... გამოფენა-კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ყველა მსურველს. შედეგებს შეაჯამებს მაღალკვალიფიციური ჟიური.

აი, პირველი მნიშვნელოვანი შემოწირულობაც — საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარმა ზურაბ წერეთელმა გამოაცხადა თავისი გადაწყვეტილება: კოოპერატივის ანგარიშზე, „მაშასადამე ინვალიდთა მომსახურების ფონდში გადარიცხოს მთელი ჰონორარი, რომელიც მას ნიუ-იორკში გახსნილი საბჭოთა კავშირის კულტურის ცენტრის გაფორმებისათვის ეკუთვნის.

მიმდინარეობს მოლაპარაკება „თბილისთამბაქოს", „თბილისრძის" საწარმოო გაერთიანებებთან, ასფალტ-ბეტონის ქარხანასთან და სხვა ორგანიზაციებთან, რათა მათ ითავონ რამდენიმე ინვალიდის მომსახურების დაფინანსება.

„უნივერსის" ხელმძღვანელობამ და ამერიკული „ეი ი სი თრეინინგ კომპანის" ვიცე-პრეზიდენტმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას თბილისში ერთობლივი ქართულ-ამერიკული კაფეს გახსნის შესახებ. ეს იქნება საზკვების დაწესებულება, რომელიც დღის პირველ ნახევარში უფასოდ მოემსახურება ინვალიდებს, ხოლო საღამოს უმაღლესი კლასის ფასიანი ამერიკული კაფე იქნება.

მიმდინარეობს მოლაპარაკება გამარჯვების პარკის ხელმძღვანელებთან პარკის ტერიტორიის ნაწილის იჯარით აღების შესახებ. ყველა შემთხვევაში მიღებული მოგება მოხმარდება ზემოაღნიშნულ მიზნებს.

ვინაიდან კოოპერატივი საქველმოქმედო ხასიათისაა, მასთან არსებობს მრჩეველთა მუდმივმოქმედი საბჭო, რომელიც აერთიანებს ცნობილ საზოგადო მოღვაწეებს: ნონა გაფრინდაშვილსა და ნანი ბრეგვაძეს, ზურაბ წერეთელსა და იელიტა მესხიშვილს, რომან მიმინოშვილსა და ნოდარ რუხაძეს, ავლიპ ზურაბაშვილს, წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს ს. ამირიძეს, თბილისის №1 ბავშვთა სახლის დირექტორს ნ. მაღრაძეს, საქართველოს „ყრუთა საზოგადოების" პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ბ. შუბლაძეს, „ახალგაზრდა კომუნისტისა" და „მოლოდიოჟ გრუზიის" რედაქტორებს: მ. ბალარჯიშვილსა და ვ. აბაშიძეს, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს არასაუწყებო დაცვის სამმართველოს უფროსს გ. ყვარალაშვილსა და სხვებს.

კოოპერატივმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ერთი შეხედვით შეიძლება უჩვეულოდაც მოგვეჩვენოს: პირველ რიგში, კოოპერატივის წევრთა ხელფასი არ უნდა აღემატებოდეს თვეში 200 მანეთს და მეორე, კოოპერატივი თავს ანგარიშვალდებულად თვლის მრჩეველთა საბჭოს წინაშე.

„უნივერსმა" შექმნა მექანიზმი, რომელიც სავსებით გამორიცხავს შემოსული თანხების არადანიშნულებისამებრ ხარჯვას; მრჩეველთა მუდმივმოქმედ საბჭოსთან არსებობს გამოცდილ ეკონომისტთა მუშა ჯგუფი, რომელიც კოოპერატივის ფინანსურ კონტროლს ახორციელებს.

„უნივერსი" უკვე დაუკავშირდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებას და მასთან ერთად აპირებს სოციალისტური ქვეყნების გამოცდილების გაზიარებას ამ საქმეში. იგი ბუნებრივია ცდილობს გამოიყენოს სსრ კავშირში არსებული მონათესავე პროფილის საზოგადოებებისა და კავშირების გამოცდილებაც.

კოოპერატივს დაგეგმილი აქვს გულმოწყალების რეიდების გამართვა, ნავარაუდევია ამ მოძრაობაში მოსწავლეების, საერთოდ, ახალგაზრდების ჩაბმა.

„უნივერსის" ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯია მცხეთაში იჯარით აღებულ ბინაში, მარტოხელებისა და ინვალიდების პანსიონატის გახსნა. აქ მალე ფუნქციონირებას დაიწყებს 12-კაციანი პანსიონატი, სადაც დამსვენებლები უფასოდ გაიკაჟებენ ჯანმრთელობას.

კოოპერატივისა და საბჭოს მიზანია, ქველმოქმედება არ შემოიფარგლოს მხოლოდ დედაქალაქით; ალბათ, საჭირო გახდება ფილიალების გახსნა, რაზეც მიუთითებს შემოსული წერილებიც.

„უნივერსის" მუშაობაში, როგორც აღვნიშნეთ, ძირითად როლს ასრულებს მრჩეველთა მუდმივმოქმედი საბჭო, რომლის პასუხისმგებელი მდივანია სახალხო განათლების სამინისტროს საოქმო განყოფილების უფროსი ზაურ ალადაშვილი.

კოოპერატივი „უნივერსი" განაგრძობს საქმიანობას. მისი კეთილშობილური მიზანია ადამიანებს მოუტანოს შვება და სიხარული.

**დარეჯან ფირცხალაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ასე თარგმნიდა „ფაუსტს“

## მოგონება



გოეთე. ლეონარდო შენგელიას ნახატი

გოგი ჯორჯანელი უმალვე ხიბლავდა ადამიანს თავისი უბრალოებით. საკმარისი იყო ერთხელ გესაუბრა მასთან და როგორც გულითად მეგობარს, ისე დაშორდებოდი. დინჯი და აუჩქარებელი იყო. მის სახეს ალალი ღიმილი აცისკროვნებდა. ბუნებით მორიდებულს, არ უყვარდა ადამიანის შეწუხება.

ნახევრად ბნელ ოთახში იჯდა, სათარგმნი წიგნებითა და ქაღალდებით დახვავებულ მაგიდასთან, მუდამ სიგარეტით ხელში, ბოლში გახვეული და თავჩაღუნული ბეჯითად მუშაობდა.

მახსოვს, ახალი თანამშრომელი ვიყავი, როცა ჩემთან შემოვიდა და ერთი ფურცელი გამომიწოდა.

— ნაზი, ჯერ წაიკითხე და მერე გადამიბეჭდე, — მითხრა.

ვიცოდი „ფაუსტს“ თარგმნიდა... გადიოდა წლები... ფურცელ-ფურცელ მოჰქონდა ჩემთან „ფაუსტი“. მხიბლავდა მისი შრომისმოყვარეობა.

— როდის იქნება „ფაუსტი“ მზად, ბატონო გოგი? — შევეკითხე.

— იქნება, მაგრამ როდის, არ ვიცი... — გაიღიმა.

ერთხელ გოგისთან მივიყვანე ჩემი შვილის მეგობარი გოგონა, რომელიც ლექსებს წერდა.

დიდი გულისყურით მოუსმინა, წაიკითხა მისი ლექსები და დაარიგა... ბევრი ლექსი შეუსწორა, ზოგიც დაუწუნა. გოგონა ცოტა ნაწყენი დარჩა...

გოგიმ წყენა შეატყო გოგონას. უჯრიდან საქაღალდეები ამოალაგა.

— აი, ხომ ხედავ, — მამაშვილურად მიმართა და საქაღალდე გადაშალა — „ფაუსტის“ ეს ერთი გვერდი ლამის ასჯერ მაქვს შესწორებული. დღეს რომ მგონია კარგია, ხვალ უკვე აღარ მომწონს...

გოგიმ ერთმანეთზე დააწყო წითელი, ლურჯი და შავი მელნით ნასწორები ფურცლები. მაშინ მივხვდი, ფუტკარივით რამდენს შრომობდა ეს კაცი „ფაუსტის“ დახვეწისათვის.

ერთხელ მომიტანა ნათარგმნი და მითხრა: — ნაზი, დედა ხარ და აბა, ერთი როგორ მოგეწონება ეს აბზაცი.

ვკითხულობდი. გოგი თავზე მადგა. დავასრულე კითხვა და თავი მაღლა ავწიე. თვალში ცრემლი მქონდა მომდგარი. მან შენიშნა ეს, თვითონაც აუცრემლიანდა გაღიმებულ სახეზე თვალები.

— განსაკუთრებით ეს ადგილია ძლიერი, — თითით ვუჩვენე სტრიქონები, — კარგად არის გამოკვეთილი დედაშვილური გრძნობა და სითბო...

გოგის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა...

— აბა, კარგად გამიკეთებია, არა? აღარ შევცვლი... — ჩაილაპარაკა თავისთვის, მადლობა გადამიხადა და ჩქარი ნაბიჯით გავიდა...

შემდეგშიც მოჰქონდა ჩემთან „ფაუსტი“ და რომ მსიამოვნებდა მისი კითხვა, უხაროდა. ხშირად ამბობდა:

— მინდა, ისეთი იყოს ჩვენი „ფაუსტი“, როგორიც გერმანელებს აქვთ.

აი უკვე ხელთა მაქვს ქართულ ენაზე ნათარგმნი დასტამბული წიგნი. გული მწყდება, რომ ვერ მოესწრო გოგი „ფაუსტის“ გამოცემას.

სანამ საქართველოში ასეთი მშვენიერი ქართულით წაიკითხავენ „ფაუსტს“, მანამ იცოცხლებს გოგი ჯორჯანელიც.

**ნაზი ლომიძე**

ნადია შალუტაშვილი,
პროფესორი

# [illegible] პარაფინის [illegible]



ლარისა მგალობლიშვილი

არც ისე დიდი ხანი გავიდა, რაც საქართველოს ტელევიზიამ მეტად თბილი და მშვენიერი გადაცემა გვიჩვენა კომპოზიტორისა და მძერწავის ლარისა მგალობლიშვილის შესახებ. ჩვენს თანამედროვე, რომანტიკას გადაჩვეულ ტელემაყურებელს, ვფიქრობ, დიდხანს, დიდხანს ემახსოვრება ეს გადაცემა.

... თბილისის ერთ წყნარ ქუჩაზე ცხოვრობს ლარისა მგალობლიშვილი, ხმაური არ ახშობს ფოთლების შრიალს, სადაც ყოველთვის ისმის ჩიტების ჭიკჭიკი, ხოლო მის მშვენიერ ოთახში მზის სხივები ფერად ლაქებად ედება უცხო ნივთებსა თუ იშვიათ ქმნილებებს: ათასგვარ ლარნაკებს, ყელმოღერებულ სასმისებს, ჭრელა-ჭრულა ჯამებს... მთელი კედელი მორთულია ნიღბებით. რა ზუსტად არის მიგნებული ხასიათები, განწყობა...

პარაფინს, ლანცეტს და ნაზ თითებს შეუქმნიათ სასწაული — „კარმენი", „დეზდემონა", „კვაზიმოდო", „კახელი გლეხი". „მოხუცი", „ატირებული გოგონა".

ირგვლივ ილვრება — ნაზი ვარდისფერი, მომწვანო-მოცისფრო, იისფერი თუ თამბაქოსფერი... და ილვრება მუსიკაც, ამღერებული ამ ფერებში და ფორმებში.

სწორედ მუსიკით დაიწყო ყველაფერი. ნიჭიერი გოგონა ფორტეპიანოს არ სცილდებოდა, ჰქმნიდა მშვენიერ მუსიკალურ ნაწარმოებებს. მალე სპეციალისტთა ყურადღებაც მიიპყრო, მაგრამ... გულის მძიმე ავადმყოფობამ შეზღუდა მისი შესაძლებლობები.

სწორედ მუსიკის დიდმა სიყვარულმა აალებინა ხელში პარაფინი. რამდენიმე წლით საწოლს იძულებით მიჯაჭვულმა გამოსავალი ძერწვაში ჰპოვა და შეძლო მუსიკა გაექვავებინა თავის იშვიათ ქმნილებებში. ეს მშვენიერი, პოეტურად ნაძერწი ნივთები შემთხვევით როდი ქმნიან ამაღლებულ განწყობილებას. აქ ძერწვა და მუსიკა ისეა ერთმანეთში გადაჯაჭვული, რომ მათი განცალკევება ძნელია.

...უსმენ მის წყნარ ხმას, აკვირდები ძუნწ, მაგრამ მეტყველ ჟესტს, უცქერი საოცრად ღრმა, სევდით სავსე თვალებს და გიკვირს, სად პოულობს ასეთი სუსტი და ჰაეროვანი არსება ამდენ შინაგან ძალას, რომ არა მარტო დასძლიოს მძიმე სენი, არამედ იყოს შემოქმედი; საკუთარ თავში კი არ ჩაიკეტოს, არამედ სიხარული და მშვენიერება აჩუქოს ადამიანებს.

ო. მელითაური გაზეთ „ვეჩერნი ტბილისში" ლ. მგალობლიშვილის შესახებ წერდა: „იგი თვითონ გავს



მის მიერვე შექმნილ სუსტ, მოლივლივე და ამავე დროს შინაგანად ძლიერ ქმნილებებს. ეს ცოცხალი და მშვენიერი ნაკეთობები შექმნა მისმა ხელებმა, რომლებშიც ასე მრავალფეროვნად გამოვლინდა მისი ნიჭის სიძლიერე, გონების მოქნილობა და ფანტაზიის მომხიბლავი ძალა“.

ლარისა მგალობლიშვილის მუსიკალური შემოქმედება საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე. არ არის შემთხვევითი, რომ გამოჩენილი პოეტების ტექსტებზე იწერება მისი რომანსები, სიმღერები. აი, ისინი: ა. პუშკინი, მ. ლერმონტოვი, ს. ესენინი, მ. ლებანიძე, მ. ფოცხიშვილი, ლ. სტურუა... მის სიმღერებს მღერიან ნანი ბრეგვაძე, მედეა ძიძიგური, თამარ გვერდწითელი...





მას საკუთარი სამყარო აქვს, სადაც ყოველთვის პოულობს შთაგონების წყაროს და იქმნება გულწრფელი და ამაღლებული კონცერტები ჩელოს, ფორტეპიანოსა და ვიოლინოსათვის, აი, თუნდაც მისი „ტოკატა“ ფორტეპიანოსათვის, ბავშვური სიწმინდე რომ არის ჩაქსოვილი და დიდი შთაგონებით ასრულებს მედეა ფანიაშვილი.

„ლარისა მგალობლიშვილის შთაბეჭდილებათა წიგნში ჩვენი ცნობილი კომპოზიტორებისა თუ პოეტების ბევრ საყურადღებო ჩანაწერს ნახავთ. „მისი მუსიკალური თრთოლვა მარტოოდენ თრთოლვა გგონია და სხვა არაფერი, მაგრამ ოდეს მარტო რჩები, გრძნობ, რომ მსგავსი რამ არასოდეს მოგისმენია“, — წერს მორის ფოცხიშვილი.

შემოქმედისათვის ერთი ყველაზე მთავარი თვისებაა მოკრძალება. იგი ქმნის მშვენიერ, განუმეორებელ მუსიკას, ძერწავს და მაინც ჩრდილშია... მან ხომ პარაფინის მრავალნაირ შესაძლებლობას მიაგნო. საკუთარი ტექნოლოგიით იგი შეუძლია დაამგვანოს ნებისმიერ მასალას: ხეს, ქვას, ლითონს, პლასტმასას... სასურველია პარაფინის ახალი თვისებების დაპატენტება და ნაკეთობების წარმოებაში ჩაშვება.



ვფიქრობ, დიდ ვალში ვართ ლარისა მგალობლიშვილის წინაშე. მისი შემოქმედება ჯეროვან ყურადღებას მოითხოვს. საჭიროა, ან ხელოვნების მუშაკთა სახლში, ან საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირში მოეწყოს მისი ნამუშევრების გამოფენა, საღამო, რითაც ხელოვნების ბევრი თაყვანისმცემელი გაიხარებს.

შეიძლება ჩვენ უფრო მეტად გვჭირდება მასთან შეხვედრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# თეო აბაშიძე

„ვუბრუნდებით ჩვენს ოჯახებს, ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობას, მაგრამ ყველას თან მიგვყვება ნაწილი შენი გულისა და მოგონებები, რომლებსაც სიკვდილი არ უწერია“.

ამ გამოსათხოვარი სიტყვებით მთავრდებოდა ჟურნალ „საქართველოს ქალში“ გამოქვეყნებული სამგლოვიარო წერილი, მისი რედაქტორის — თეო აბაშიძის უდროო და ტრაგიკულად დაღუპვამ რომ დაგვაწერინა. ეს იყო 1965 წლის ოქტომბრის ნომერი.

იმ დღიდან თითქმის 24 წელი გასულა, მაგრამ ოდნავაც არ ფერშეცვლა მოგონებანი, თეომ რომ დაგვიტოვა...

ახლაც თვალწინ გვიდგას ცხოვრების დიდგზაგამოვლილი, მაგრამ ახალგაზრდული მგზნებარებით სავსე, კეთილი და ღიმილიანი ქალის, ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, ჩინებული ჟურნალისტის, „საქართველოს ქალის“ რედაქტორის თეო აბაშიძის მშვენიერი ხატება.

წლეულს მას 80 წელი შეუსრულდებოდა, ჩვენს მეხსიერებას კი შემორჩა იგი 56 წლისა...

მაინც რამდენი რამ მოასწრო ამ დიდებულმა ქალმა თავისი ცხოვრების გზის არც თუ დიდ მანძილზე: დაიბადა 1909 წელს, მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედში — ტრაგიკულად დაიღუპა 1965 წლის 17 სექტემბერს, 56 წლისა, როდესაც ზოგ შემთხვევაში, იწყება შემოქმედი და მოღვაწე ადამიანის დაბრძენება, მისი დიდი ინტელექტუალური ცხოვრება.

რა მოასწრო? — დაამთავრა ჰუმანიტარული ტექნიკუმი, შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი.

14 წლის თეო კომკავშირელია, 1931 წლიდან — კომუნისტური პარტიის წევრი. სხვადასხვა დროს: პარტიის ჩოხატაურის რაიკომის ქალთა განყოფილების გამგე, პარტიის მახარაძის რაიკომის კულტურის და პროპაგანდის განყოფილების გამგე; საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი, „რემედასის“ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი — შემდეგ პრეზიდიუმის თავმჯდომარე; საქართველოს საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორი, დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის პასუხისმგებელი მდივანი; 1957 წლიდან კი — ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქტორი. და ყველგან, სადაც კი უმუშავია, დატოვა თავისი წარუშლელი კვალი.

სწორედ ასეთი გულმხურვალე საქმიანობისათვის წილხვდა თეო აბაშიძეს მთავრობის ჯილდოები: შრომის წითელი დროშის ორდენი, მედლები და საპატიო სიგელები და კიდევ, დიდზე დიდი — ხალხის პატივისცემა და სიყვარული.

საქართველოს კპ XX, XXI და XXII ყრილობებზე თეო რაჟდენის ასული აბაშიძე არჩეული იყო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ.

...და უეცრად, მოულოდნელად შეწყდა ამ შესანიშნავი ქალის სიცოცხლე, ტრაგიკულად დაიღუპა იგი თავის მეუღლესთან, ცნობილ მოღვაწესთან კონსტანტინე ჯაფარიძესთან ერთად.

მხურვალედ დაიტირა დიდებული ცოლ-ქმარი მთელმა ქართველმა საზოგადოებრიობამ.

დიდი გულისტკივილით მივუჩინეთ მათ სამუდამო განსასვენებელი საბურთალოს სასაფლაოზე, მათი საყვარელი დედა-თბილისის ცის ქვეშ და თან გამოგვყვა ჩვენი თეოს დიდი გულის ნაწილი და მოგონებანი, რომელთაც სიკვდილი არ უწერიათ.

დღესაც, აპრილის მზიანეთის ამ შესანიშნავ დღეს, — ჩვენგან წასულ ძვირფას ადამიანთა მოგონების დღეს, მისი მეგობრები, „საქართველოს ქალის“ რედაქციის მუშაკები და სარედაქციო კოლეგიის წევრები თავს ვხრით ძვირფასი თეოს ხსოვნის წინაშე და კვლავაც მივაგებთ ხსოვნას — მარადიულს, თუ კი საერთოდ მარადიული არსებობს რამე.

**მარიკა ბარათაშვილი**

---

ჟურნალის მე-3 და მე-4 ნომრებში გამოქვეყნებული მარიკა ბარათაშვილის წერილების ჰონორარი გადაირიცხება შოთა რუსთაველის საზოგადოების დემოგრაფიულ ფონდში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*გახსენება*

# დავიწყება არ უწერია



ადამიანი ისე არ წავა ამ ქვეყნიდან, ვიღაცას გული არ ატკინოს. მაგრამ, როცა იგი ღვაწლმოსილი და ამაგდარია, როგორიც იყო ბატონი ირაკლი ფაღავა, ეს არის არა ერთეულთა, არამედ ჩვენი ერის, ქართველი საზოგადოების დიდი დანაკლისი, ეს არის სამედიცინო საზოგადოებისა და, განსაკუთრებით, პედიატრთა საზოგადოების დიდი გულისტკივილი.

ბატონი ირაკლი იმ მოღვაწეთა პლეადას ეკუთვნის, რომელთა სახელსაც დრო და ჟამთა სვლა უფრო წარმოაჩენს, მათ ნამოღვაწარს უფრო განამტკიცებს.

განა შეიძლება თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტს, რომელსაც ერთხელ მაინც მოუსმენია ბატონი ირაკლის ერუდირებული, მაღალპროფესიული ოსტატობით წაკითხული ლექცია, დაივიწყოს იგი?! განა ქართველ მრსახლეობას სამუდამოდ არ დარჩა მეხსიერებაში ბატონ ირაკლის მიერ საინტერესოდ წაკითხული საჯარო ლექციები?! განა ქართველმა ტელემაყურებლებმა შეიძლება დაივიწყონ ბატონი ირაკლის ლამაზი გამოსახულება ტელეეკრანზე, მისი დარბაისლური და დამაჯერებელი საუბრები ბავშვის მოვლის, აღზრდისა და ფსიქოლოგიური განწყობის შესახებ?!

ბატონი ირაკლი იყო კოლორიტული ადამიანი, რომელიც დიდი პატივისცემით სარგებლობდა ჩვენს რესპუბლიკაში და კავშირშიც. აღსანიშნავია ბატონ ირაკლის ულრმესი პატივისცემა ძველი თაობის წარმომადგენლებისადმი, გვაგონდება მისი ყოველთვის საინტერესო, მჭევრმეტყველური გამოსვლები.

1971 წლის დეკემბერს ბატონ ირაკლისთან ერთად მოსკოვში გახლდით — პედიატრთა საკავშირო სამეცნიერო საზოგადოების პლენუმზე. პლენუმის ბოლო დღე ეძღვნებოდა საზოგადოების თავმჯდომარის, აკადემიკოს ი. დომბროვსკაიას დაბადების დღეს. ეს წინასწარ ვიცოდით და თან წავიღეთ საჩუქარი, საქართველოს სახალხო მხატვრის ირაკლი ოჩიაურის ჭედური ნამუშევარი. ორი ქართველი ბავშვის — ბიჭის და გოგონას გამოსახულება, რომლებსაც თავი შემკული ჰქონდათ ყურძნის აკიდოებით. ეს საჩუქარი ბატონ ირაკლის არ ენახა.

სხდომის წინა საღამოს ბატონი ირაკლი გვიან დაწვა, ფიქრობდა, წერდა გამოსვლისათვის ემზადებოდა.

და აი, სხდომაზე რომ გამოაცხადეს, სიტყვა მისალმებისათვის ეძლევა ირაკლი ფაღავასო, გავხსენი ქაღალდში შეხვეული საჩუქარი და მივაწოდე. ბატონი ირაკლი სანამ კათედრამდე მივიდოდა სურათს კარგად დააცქერდა, დადგა კათედრასთან, ჯიბიდან ნაწერი აღარ ამოუღია, ხელში ეჭირა სურათი, დასცქეროდა და ისე აზრიანად და შთამბეჭდავად მეტყველებდა, თითქოს იქიდან კითხულობდა. ამ დროს დარბაზში იყო სამარისებური სიჩუმე, ყველა სულგანაბული უსმენდა და შეინიშნებოდა, როგორ იწმენდნენ ცრემლებს. სიტყვის დამთავრების შემდეგ აკადემიკოსი დომბროვსკაია აცრემლებული თავად მივიდა ბატონ ირაკლისთან, შუბლზე ეამბორა და უთხრა: „Спасибо, Ираклн, голубчик".

ბატონი ირაკლი იტყოდა ხოლმე, ადამიანის ღირსება დაფასებულია მაშინ, როდესაც ამ ქვეყნიდან წასული არ გავიწყდება და მის ნათელ სახელს სიყვარულით და პატივისცემით მოიხსენიებო.

უნდა გავიხსენო ბატონი ირაკლის დიდი პატივისცემა თავისი აღმზრდელისა და მასწავლებლის — პროფესორ მარიამ უგრელიძის მიმართ. გარდაცვალების ათი წლის შემდეგ ირაკლი ფაღავამ პროფესორი მარიამ უგრელიძის ნეშტი სოფელ დიღომიდან ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადმოასვენა და იქ დაუდო სამუდამო ბინა.

ეს შეიძლება გააკეთოს მხოლოდ დიდი ბუნების, დიდი სულიერი გრძნობის ჰუმანურმა ადამიანმა, როგორიც იყო ბატონი ირაკლი, ადამიანი, რომლის სახელსაც დავიწყება არ უწერია.

**ნ. უმიკაშვილი,**
პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამკურნალო დარგში, რესპუბლიკის მთავარი პედიატრი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი.



# გაზაფხულის პირველ დღეებს გაჰყვა...

დადიოდა ჩვენს შორის, ხარობდა სიცოცხლით, სიყვარულით და სიკეთით, ასე უშურველად რომ ხარჯავდა ყველგან და ყველაფერში, ჰქონდა ულევი სითბო და ღიმილი, მადლს რომ ჰმატებდა დასტაქრის უტყუარ მარჯვენას.

გვყავდა თერჯოლელებს გამორჩეულად საყვარელი ექიმი, ჭეშმარიტი მკურნალი ნათელა დავითაშვილი.

დიახ, გვყავდა და აღარა გვყავს, აუნაზღაურებელია ეს დანაკლისი, უეცარი და ელდიანი.

სიცოცხლით სავსე ქალი სხვათა სიცოცხლის სადარაჯოზე ვაჟკაცური შემართებით იდგა და სიკვდილზე ხმამაღლა არასოდეს ლაპარაკობდა.

მისი ადგილის დედა დარიალის ხეობაში დარჩა. ყაზბეგის რაიონის სოფელ სიონში დაიბადა და გაიზარდა. მერე მოვიდა ყმაწვილქალობა და სტუდენტობა. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში სწავლისას ეწვია ლამაზი სიყვარული. მოხევის ქალი იმერლების რძალი გახდა, თერჯოლელ ომარ ქოჩიაშვილს სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ბედი.

თავდაპირველად სასწრაფო დახმარების ექიმად მუშაობდა, შემდეგ ლარინგოლოგიის კაბინეტს განაგებდა. იყო იმედიანი და ნუგეშიანი, სალბუნს ადებდა ადამიანის ყოველგვარ ტკივილს — ფიზიკურს თუ სულიერს.

გარეგნულად მშვენიერი იყო, შინაგანად კიდევ უფრო ლამაზი და მომხიბვლელი, ყველას აოცებდა მისი გამორჩეული გულისხმიერება, ყურადღება, ტკბილი საუბარი.

მუდამ წინამძღვრობდა ჩვენი რაიონის ქალთა მედპერსონალის ყოველგვარ წამოწყებას, მრავალ საინტერესო წინადადებას სთავაზობდა ქალთა რაიონულ საბჭოს.

უხმაუროდ, უპრეტენზიოდ, მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მინდობილ საქმეს. ავადმყოფის ბედი — ეს იყო მისი უპირველესი საზრუნავი და საფიქრალი. იყო უბრალო და თავმდაბალი, ყოველთვის წინააღმდეგი საკუთარი თავის წარმოჩინებისა, ბავშვივით წითლდებოდა, როცა ვინმე აქებდა.

მეგობრებისთვის თავდადებული, გასაჭირში ჩავარდნილი მოყვასის პირველი ჭირისუფალი და ქომაგი ყველას ტკივილს ისე ითავისებდა, როგორც საკუთარს. აკი მეგობრობას, სხვისი ტკივილის გაზიარებას შეეწირა კიდეც.

საშინელმა ავტოკატასტროფამ იმსხვერპლა მისი ლამაზი სიცოცხლე მაშინ, როცა სხვათა საშველად და სანუგეშებლად მიდიოდა...

ველარ დაბრუნდა ნათელა ექიმი მეგობრობის გზიდან. მისი საყვარელი დღესასწაულის დღეს გლოვის ზარებმა ჩამოჰკრეს თერჯოლაში.

ულმობელმა ბედისწერამ მაინც დაინდო მისი პირმშო — პაატა უკვე მუხლგამართული ადგას დედის ნათელ გზას, წარმატებით ეუფლება ექიმ პედიატრის საპატიო პროფესიას.

„დედა, საყვარელო დედიკო! გილოცავ 8 მარტს! ვფიცავ შენს სულს, არ ჩავაქრობ შენს ანთებულ ლამპარს". ეს ბარათი და საყვარელი თეთრი მიხაკები მიართვა დედას სამუდამო სასთუმალთან დედისერთა პაატამ.

არა, მისი ფასი ყოველთვის ვიცოდით, მაგრამ ახლა, როცა ასე ნაადრევად და სამუდამოდ მოეფარა ჩვენს თვალს, უფრო მძაფრად ვიგრძენით, რაოდენ ძვირფასი და საყვარელი პიროვნება დავკარგეთ!

გაზაფხულის პირველ დღეებს გაჰყვა.

გაზაფხულივით გაუხუნარი დარჩება ჩვენს გულებში.

ნათელა დავითაშვილის ხსოვნის იები მუდამ იყვავილებენ.

**თერჯოლის ქალთა რაიონული საბჭო**



# ჩვენი კეთილი მეგობარი

ჯერ კიდევ მოუშუშებელი იყო ნიჭიერი პოეტისა და საოცრად სათნო, მშვენიერი ქალის, ვერიკო წერეთლის უდროოდ დაკარგვით გამოწვეული ჭრილობა, რომ ასევე მოულოდნელად წავიდა ჩვენგან მისი მეუღლე, ცნობილი პოეტი, ღირსეული მოღვაწე და ადამიანი, ჩვენი ძვირფასი ძმა და მეგობარი ალექსანდრე ბეგაშვილი.

მძიმე იყო ეს დანაკარგი... თუმცა, არც მოულოდნელი. რადგან ვხედავდით, როგორ ეწირებოდა იგი დაკარგულ მეუღლეზე სევდას, რა მწვავედ განიცდიდა მარტოობას, როგორ ყოველდღიურად ურთულდებოდა ჯანმრთელობის მდგომარეობა.

უკანასკნელად, ჩვენთან რომ შემოვიდა, გაგვიზიარა თავისი ახალი გეგმა: ეს იყო ოცნება, წლეულს, გაზაფხულზე ღირსეულად აღენიშნა თავისი სათაყვანებელი მეუღლის დაბადების 60 წლისთავი.

ველარ მოასწრო...

ამიერიდან მის მეგობრებს, ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციის მუშაკებს ალექსანდრესთან ერთობლივი მუშაობის წლების მოგონებაღა შემოგვრჩენია და მისი, თურმე გამოსათხოვარი, მშვენიერი ლექსების კრებული, უკანასკნელად რომ გვისახსოვრა.

# პოეზიის ფურცელი

* * *

განჯიდან მოსულმა ყორანმა საშინელი ამბავი მოიტანა.

მოულოდნელობისაგან გაოგნებული მტკვარი მეტეხის კლდეს მიეყრდნო...

ათრთოლებული ფოთლები ასწლოვან ჭადრებს ეკვროდნენ ტანზე...

მუხლი მოეკვეთა არაგვს...

თავზარდაცემული ქარიშხალი ანჩისხატის უბანში გაიჭრა...

მთაწმინდის გოდებამ გულზე ხავსმოდებული ქვაც კი აატირა...

ფაფარაყრილი მერანი ფლოქვებსა სცემდა მიწას: დამიბრუნეო ჩემი მხედარი, —

...მიწა კი არად აგდებდა გახელებული რაშის ბრდღვინვას და ნაზად ეალერსებოდა მის მკერდში ჩაძინებულ რაინდს.

. . .

კატინას საყურესავით ქანაობდა მთვარე.

## 1907 წლის 30 აგვისტო

ქართლის ზეცა ყოველთვის მიუსამძიმრებდა ხოლმე თავის წილხვედრ მიწას, როცა ქართველები სამზეოდან იკარგებოდნენ.

...იმ დღესაც უსაზღვროდ დამგლოვიარებული საავდრო ღრუბლით იმოსებოდა, —

ერთმანეთს შესტიროდნენ გულში დაჭრილი მიწა და გულდაწყვეტილი ზეცა...

მწუხარებისაგან დაშრა ალაზანი.

ქარი ღრიალით ურტყამდა თავს პიტალო კლდეებს.

. . .

გულნასული მზე ნინამურის გზაზე ნაიქცა!..

## სურათი

ამოგორდება გომბორზე მთვარე
და ორღობეში მიმავალ მგზავრებს
თავს დაანათებს,
გზას გაუნათებს
და ერთ-ერთ მათგანს დაუკოცნის
ღამისფერ თვალებს...
ალაზნის მტკნარ წყალს ჩახედავს ფსკერში,
მტირალ ტირიფებს ჩაიკრავს მკერდში
და ამღერდება ისეთი ეშხით,
რომ სიყვარული გაიღვიძებს ასი წლის
ხეშიც.

. . .

ამოგორდება გომბორზე მთვარე.

ნანა დავითაშვილი

## სომეხ მეგობართა ლექსები

თინა მელიქიანი

### შენ ალამაზებ ამ ჩემს ცხოვრებას

ლირიკული რვეულიდან

შენ ხარ სიცოცხლის უძირო აზრი,
მე –– წყარო, მარად შენზე მლოცველი.
შენს ხმას ვეძებ ტყის შორეულ ხმაში
და ვაპობ ტალღებს — ზღვაში ოცნების.

მაინც რამ შეგქმნა ასე დიადი,
ჯადო გდევს მაინც ვისი სიმღერის,
რომ გზებს მიჰყვები, ვით განთიადი
და უხილავად მკერდში იღვრები.

შენ ალამაზებ ამ ჩემს ცხოვრებას,
ამ ჩემს სიყვარულს, ტკივილებს, ღიმილს...
თითქოს ქრება და კვლავ მეორდება
მაგ მიბნედილი თვალების სხივი.

მღელვარე სულის იდუმალებავ,
სადამდის უნდა მწვავდე, მითხარი,
ეგ სინარნარე, ეგ ბრწყინვალება
მენთოს და ვიყო განუკითხავი?

ამ ცის ქვეშეთში შენთვის მოვედი,
შენს ერთ სიტყვასაც საგზლად ვიკმარებ.
რაკი გიწამა გულმა პოეტის
დამწვი, დამბუგე და მაცისკარე.

სომხურიდან თარგმნა
ვახტანგ გორგანელმა

### თბილისის ღამე

გძინავს, თბილისო? მე არა მძინავს,
მარტივით ღელავს რითმებში გული,
ნუთუ მე, მხოლოდ მე, მეჩვენები,
ბეჭედში გიშრის თვალად ჩასმული!

...ღამე — გიშერი ბრძოლში ილევა,
მზე სხივებს ოქროს მარაოდ გაშლის...
და მე მგონია, სხივებთან ერთად
ნათელ მდინარედ ვეშვები ზღვაში.

სიზმარში არ ვარ, არც მეჩვენება,
მშვენებით სავსე შენი ზღვა და ცა...
დღეს ჩემ სიყვარულს აქ უთენდება
დედა-თბილისში, ქართვლის აკვანთან.

ანაიდა სევაკიანი

საქ. სსრ კ. მარქსი
სახ. სახ. რესპუბ.

## პრობლემები, ამოცანები

# დროს ვერასოდეს ჩამორჩება

— ბატონო ვლადიმერ, შარშან ჩვენი ქვეყნის საბანკო სისტემაში ძირეული რეორგანიზაცია განხორციელდა. რით იყო ეს ღონისძიება განპირობებული?

— დასამალი არ არის, რომ საბანკო სისტემა სულ უფრო ნაკლებად ითვალისწინებდა სახალხო მეურნეობის დარგებისა და სფეროების მრავალმხრივ თავისებურებებს. ბანკები და შემნახველი სალაროები ველარ უზრუნველყოფდნენ მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. არასაკმარისად გამოიყენებოდა მშრომელთა საკრედიტო და საკასო მომსახურების პროგრესული ფორმები და მეთოდები. გაზრდილ მოვალეობასა და პასუხისმგებლობას არ შეესაბამებოდა ბანკის მუშაკთა შრომის ანაზღაურება. ერთი სიტყვით, მოუქნელი გახდა საბანკო სისტემა, აშკარად ჩამორჩა იგი დროის მოთხოვნებს, ეკონომიკურ ცხოვრებაში მიმდინარე სტრუქტურულ ძვრებს. ამის შესახებ არაერთხელ ითქვა ხმამაღლა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შემდგომ პერიოდში. „ქვეყანაში ბანკების სრულყოფისა და ეკონომიკის ეფექტიანობაზე მათი ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის ივლისის დადგენილების საფუძველზე ქვეყნის სახელმწიფო ბანკისა და სამშენებლო ბანკის რესპუბლიკური კანტორებისა და შემნახველი სალაროების მთავარი სამმართველოს ბაზაზე სხვა რესპუბლიკების მსგავსად საქართველოშიც შეიქმნა სსრ კავშირის სამრეწველო-სამშენებლო, აგროსამრეწველო, საყოფაცხოვრებო-სოციალური, შემნახველი, საგარეო-ეკონომიკური სპეციალიზებული ბანკები.

— როგორია ასეთ პირობებში სახელმწიფო ბანკის ფუნქციები?

— იგი კოორდინაციასა და კონტროლს გაუწევს სპეციალიზებული ბანკების საქმიანობას. ახლა სახელმწიფო ბანკი განთავისუფლებულია სახალხო მეურნეობის დარგების უშუალო მომსახურების ოპერატიული საქმიანობისაგან. აღნიშნულ ფუნქციებს სპეციალიზებული ბანკები შეასრულებენ. მაგრამ ისე არ გამიგოთ, თითქოს სახელმწიფო ბანკი განმკარგულებელი იყოს. პირიქით, სპეციალიზებული ბანკები სრული დამოუკიდებლობითა და თავისუფლებით სარგებლობენ. ისინი გადასული არიან სამეურნეო ანგარიშზე, თვითდაფინანსებაზე.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ საბანკო-საკრედიტო სისტემის რეორგანიზაციამ გარკვეული სიძნელეები წარმოშვა: ყოველთვის ვერ ხერხდება სხვადასხვა სპეციალიზებული ბანკების საქმიანობის კოორდინაცია, ჯერ კიდევ ვერ ერკვევიან ახლადშექმნილი ბანკების ფუნქციებში, რაც აძნელებს მათთან ურთიერთობას. დასახვეწია ახლადშექმნილი ბანკების სტრუქტურაც, არ არსებობს არცერთი სპეციალიზებული ბანკის (გარდა საგარეო-ეკონომიკურისა) წესდება, კანონი მათ შესახებ და სხვა ნორმატული დოკუმენტები..

**(სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ვლადიმერ პატეიშვილთან საუბრიდან).**

**...არც აჭარბებენ: აქაურობა მეორე ოჯახად იგულეს. უხმაუროდ, ერთგულად შრომობენ. ხშირად ათენდებათ თავზე, განსაკუთრებით — დღესასწაულების წინ. ვინ მოთვლის, რამდენ ახალ წელს შეხვედრიან აქ.. ბანკის მუშაკთა გარეშე წარმოუდგენელია ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება.**

**საქმე, რომელსაც ემსახურები, გულით უნდა გიყვარდეს — ასე ხწამთ აქაურებს— სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის თანამშრომლებს, შრომისა და ომის ვეტერანებს—საქართველოს რესპუბლიკური ბანკის განყოფილების უფროსს, საქართველოს სსრ დამსახურებულ ბუღალტერს ტაისა ბერიძეს, სამმართველოს უფროსს დარეჯან კოპლამაზაშვილს, საქმეთა მმართველობის უფროსის მოადგილეს ეთერ დონდუას, რესპუბლიკის დამსახურებულ ეკონომისტს თამარ დავითიანს, მთავარ ეკონომისტს როზა არაქელოვას, უფროს ეკონომისტს როზა ოკინაშვილს...**

**ისინი მრავლად არიან, რესპუბლიკის საბანკო სისტემაში რვა ათასამდე ქალი იღვწის...**

**ეგ არის, აქ არ დავბადებულვარ, თორემ აქ გავიზარდეო, უყვარს თქმა სსრ კავშირის აგროსამრეწველო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის კადრების სამმართველოს უფროს ინსპექტორს, სამი შვილის დედას, ნუნუ ურიდიას.**

**ქალბატონი ნუნუს ქალიშვილი — ცხრამეტი წლის რუსუდანი — გორის ეკონომიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების სტუდენტია, ფულის მიმოქცევის სამმართველოში ინსპექტორად მუშაობს, კომკავშირის ბიუროს წევრია. ვაჟიშვილი — ალექსანდრე, ამასწინათ ვალმოხდილი დაბრუნდა საბჭოთა არმიის რიგებიდან. დედისა და დის კვალში ჩადგომა განუზრახავთ ალექსანდრესა და მეათეკლასელ მედეას.**

**თანამშრომელთა პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობს ლიანა კოღუაშვილი, რომელიც ორ ათეულ წელზე მეტი ხანი იყო საქართველოს რესპუბლიკური ბანკის პარტიული ბიუროს მდივანი. მაშინ ქალბატონი ლიანა კადრების სამმართველოს განაგებდა. საბანკო სისტემის რეორგანიზაციის შემდეგ აგრომრეწვბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის კადრების სამმართველოს ჩაუდგა სათავეში.**

**— ბანკის სისტემის გარეშე წარმოუდგენელია ჩემი ცხოვრება. საოცარი განცდაა, როცა გრძნობ, როგორი საჭირო ხარ. შესანიშნავი კოლექტივია, ერთსულოვანი, შეკრული, იციან შრომისა და თანადგომის ფასი.**

**ბანკს კადრებს ძირითადად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი უმზადებს. და ისინიც განსაკუთრებით ახლოს არიან ახალგაზრდობასთან. თუ არა დიდი სითბო და გულისხმიერება, სიყვარული ყველასადმი, მხარში დგომა, კადრების სტაბილურობა, მართლაც, შეუძლებელი იქნებოდა.**

**თექვსმეტი წლისა მოვიდა კოლექტივში ეთერ ცქიტიშვილი. შემდეგ იგი დააწინაურეს, წლების მანძილზე ერთ-ერთი სამმართველოს უფროსად მუშაობდა. ოთხი ათეული წელია, თავდადებით იღვწის შრომის ვეტერანი, საპატიო ნიშნის ორდენოსანი, ეკონომისტი თამარ ზელიონაია, რომელიც ჯერ კიდევ ომის წინა წლებში საქართველოში დამკვიდრდა და ჩვენი რესპუბლიკა თავის სამშობლოდ იგულა. საქართველომ სტუმართმოყვრულად მიიღო ლენინგრადის ბლოკადის მონაწილე ტაისა — შემდგომში ბერიძე, რომელიც თბილისში დაოჯახდა. თავისი საქმის გამოცდილ სპეციალისტად გვიხასიათებენ ეკონომიკური ინფორმაციის კონტროლის დამუშავებისა და გამოშვების განყოფილების უფროსის მოადგილეს იზოლდა ზაალიშვილს, რომელიც წლების მანძილზე შეუცვლელად მუშაობს... ღამის ცვლაში. მრავალ**



სახელმწიფო ბანკის გამოთვლითი ცენტრი. ოპერატორი ბაბულია კობაიძე, ინფორმაციის მომზადების განყოფილების გამგე მზია ფერიაშვილი (მარჯვნივ), გამოთვლითი ცენტრის უფროსის მოადგილე ნაზი კახნიაშვილი.

ახალგაზრდა სპეციალისტს დასდეს ამაგი რესპუბლიკის დამსახურებულმა ეკონომისტმა ელენე რამიშვილმა და ბუღალტრული აღრიცხვის სამმართველოს უფროსმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა ბუღალტერმა ქსენია ზალდასტანიშვილმა.

ლამაზი შრომითი გზა გაუვლიათ აქაურ მანდილოსნებს, რომლებიც კოლექტივის ოთხმოც პროცენტს შეადგენენ თითქმის. შეუმჩნეველი აქ არავინ რჩება. დიდ, საპასუხისმგებლო საქმეებს ანდობენ ქალებს. რიგით ეკონომისტად დაიწყო მუშაობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა ლოლა რობაქიძემ, რომელიც ახლა აგრომრეწვბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეა.

...ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებთან ქალები თავაუღებლად, ყურადღებით მუშაობენ. აქ თბილისისა და მიმდებარე რაიონების ბანკების განყოფილებებიდან შემოსული ყოველდღიური (მარტო დედაქალაქიდან — ოცი ათასამდე საგადამხდელო ფულადი საბუთი) საბუღალტრო-საოპერაციო დოკუმენტები მუშავდება. მანქანურ მატარებელზე ინფორმაციის მომზადების განყოფილების ოპერატორები ბაბულია კობაიძე, ოლია აკოფოვა, ეკონომისტი მადლენა ნებიერიძე, გამოთვლითი ცენტრის განყოფილების უფროსის მოადგილე მზია ფერიაშვილი სამ ათეულ წელზე მეტია თავდადებით შრომობენ.

საქართველოს რესპუბლიკური ბანკის გამოთვლით ცენტრში ინფორმაციის მოცულობის სიდიდე, მისი დამუშავებისადმი მკაცრი მოთხოვნები მაღალ კვალიფიკაციას, პასუხისმგებლობასა და ოპერატიულობას მოითხოვს მუშაკებისაგან. ყოველი დილის შვიდი საათისათვის ადგილებზე უნდა იყოს აქედან გაგზავნილი დამუშავებული სათანადო დოკუმენტები.

— ბანკების განყოფილებებში პერსონალური ელექტრონული-გამომთვლელი ტექნიკის ფართოდ დანერგვა უახლოეს მომავალში საბანკო ფუნქციების კომპლექსური ავტომატიზაციის საშუალებას მოგვცემს, რაც სახალხო მეურნეობაში ფულადი სახსრების ბრუნვის მრავალჯერად დაჩქარებას უზრუნველყოფს, — შენიშნავს გამოთვლითი ცენტრის უფროსი ირაკლი ბუკია.

— სწორედ ასეთი ტექნიკის ფართოდ დანერგვით თუ გამოთავისუფლდება ჩვენთან ღამის ცვლა, — დაუმატებს გამოთვლითი ცენტრის უფროსის მოადგილე ნაზი კახნიაშვილი.

აქაურ ქალთა უმრავლესობა დაოჯახებულია. ცხადია, იოლი არ არის ესოდენ შრომატევადი და საპასუხისმგებლო სამუშაოსა და ოჯახისათვის თავის გართმევა. აღსანიშნავია: არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე თანამშრომლის შვილის შესახებ სკოლიდან „მწვავე სიგნალი“ შემოსულიყოს, რომ მათ უღირსი საქციელი ჩაედინოთ.

კოლექტივსა და მის ხელმძღვანელებს დიდი ხანია აღელვებთ ერთი მეტად მტკივნეული საკითხი — ბევრს სახლში ბავშვის დამტოვებელი არ ჰყავს, ამიტომ ზოგჯერ სამსახურში მოჰყავთ შვილები.

— ეს პრობლემაც გადაწყდება. ბანკის შენობის ეზოში გაიხსნება ბავშვთა ოთახი. უმაწვილები უზრუნველყოფილნი იქნებიან კვებით, სათამაშოებით, საბავშვო ბიბლიოთეკით. მათთან იმუშავებს პედაგოგი, — გვეუბნება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ვლადიმერ პატეიშვილი.

პრობლემა მრავალი აქვთ მოსაგვარებელი.

...ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს შენობის სარდაფში გახსნილი კალინინის რაიონის საზკვების ტრესტის 179-ე გაერთიანების ფილიალი-სასაუზმე. ანტისანიტარია, თვეობით გაუტანელი მინის ტარის ყუთები, პროდუქტების ღარიბი ასორტიმენტი, მღრღნელების სათარეშოდ ქცეული არაესთეტიკური გარემო იმის მიზეზია, რომ ბანკის თანამშრომლები, განსაკუთრებით ქალები, აქაური „სიკეთით“ ვერ სარგებლობენ...

— თითქმის მთელ დღეს სამსახურში ვატარებთ. საღამოს ჩვენთვის ყველაფერი დამთავრებულია, მაღაზიებით ვერ ვსარგებლობთ — დღის ბოლოს აღარაფერია. „სილამაზის სალონის“ გახსნას არ მოვითხოვთ (თუმცა, იქნებ არც ეს დაგვეყვედრება მრავალრიცხოვან ქალთა კოლექტივს), მაგრამ... ვფიქრობთ, საფუძველს მოკლებული არ იქნებოდა ჩვენი გულისტკივილი. ბანკის მუშაკები რატომღაც ყველას ვავიწყდებით—პრესას, რადიოს, ტელევიზიას... არა და საჭირო ხალხი ხართო, გვეუბნებიან,—შენიშნავს აგრომრეწვბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის სამმართველოს უფროსის მოადგილე დალი ხოფერია.

და საჭირო ხალხი ფუტკარივით შრომობს, შეუმჩნევლად, უხმაუროდ, უპრეტენზიოდ, ერთგულად. მათი თავდადების გარეშე უბრალოდ წარმოუდგენელია ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება...

**ნათელა ქიმერიძე**



# ბავშვის კვება

ერთ წლამდე ასაკის ყმაწვილებს ტყუილად როდი უწოდებენ ძუძუთა ბავშვებს — ყველაზე მეტად ამ ქვეყნად მათ ძუძუ, დედის რძე სჭირდებათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა ვერ იღებს მას. დედებს არა აქვთ რძე! შესაძლოა, ეს ჩვენი ნერვიული საუკუნის ბრალიც იყოს, ემოციურ-ფსიქიკური გადატვირთვისაც, მაგრამ ძალიან ხშირად თვითონ ახალგაზრდა დედებიც არ არიან ფსიქოლოგიურად განწყობილი, რომ ბავშვს ძუძუ აწოვონ, ეს კი დიდად მოქმედებს რძის გამომუშავებაზე.

უნდა ვიცოდეთ, რომ დედის რძე განსაკუთრებით სჭირდებათ ბავშვებს პირველი ნახევარი წლის განმავლობაში, ამ ნახევარი წლიდან კი, განსაკუთრებით, პირველი 3-4 თვის მანძილზე. წარმოიდგინეთ, რომ ხსენიც კი, რომელსაც სარძევე ჯირკვლები მშობიარობის შემდეგ პირველ საათებში და დღეებში გამოიმუშავებს მეტად ფასეულია: ის შეიცავს ბევრ ისეთ ნივთიერებას, რომლებიც აქტიურებს ჩვილის ორგანიზმის დამცველ ძალებს, და გარდა ამისა — ცილებსა და მინერალურ მარილებს, რაც აგრერიგად მნიშვნელოვანია ახალშობილისათვის.

მაგრამ თუ დედას რძე საკმაოდ არა აქვს, ან, უფრო უარესი, სულაც არა აქვს, ჩვილი შერეულ ან ხელოვნურ კვებაზე უნდა გადავიყვანოთ.

რით ვკვებოთ? რა შევარჩიოთ?

უნდა ვიცოდეთ, რომ ახლა ერთ წლამდე ასაკის ბავშვებისათვის მზადდება ადაპტირებული ანუ დედის რძესთან უაღრესად მიახლოებული რძის ნარევები. ეს რთული შემადგენლობის პროდუქტებია, რომლებიც არა მარტო საჭირო თანაფარდობით შეიცავს ცილებს, ცხიმებსა და ნახშირწყლებს, არამედ გამდიდრებულია აგრეთვე მინერალური ნივთიერებებითა და ვიტამინებით. ადაპტირებულ ნარევებს ხშირად დედის რძის შემცვლელებსაც უწოდებენ, მაგრამ, მათი მაღალი ღირსების მიუხედავად, დედის რძის ტოლფასი მაინც არ არის. რას ვიზამთ? როცა სხვა გზა არ არის, ისევ შემცვლელი უნდა ავირჩიოთ: „მალიუტკა“, „მალიში“, „დეტოლაქტი“, „ვიტალაქტი“, „აციდოფილიანი მალიუტკა“, აგრეთვე იმპორტული პროდუქტები: „პილტი“, „ბონა“, „სიმილაკი“, „ლინოლაკი“, „ტუტელი“.

პირველ თვეებში უმჯობესია ყმაწვილი ერთ-ერთი ამ ნარევით ვკვებოთ. რომლით? ამას თვითონ ბავშვი გვიკარნახებს თავისი გუნებ-განწყობით, წონის მომატებით, კუჭის მოქმედებით.

ზოგჯერ დედებს ეჩვენებათ, რომ რძის ნარევმა ბავშვს დიათეზი დამართა და საჩქაროდ იწყებს სხვა ნარევების სინჯვას: გუშინ თუ „მალიშს“ აძლევდა, დღეს — „ბონას“, ხვალ — „დეტოლაქტს“ მისცემს, მაგრამ როცა ხან აქეთ ეცემი ხან იქეთ, ძნელი დასადგენი ხდება, რომელ საკვებს იტანს ბავშვი უკეთესად და რომელს — უარესად. ამის გარდა, საკვების ხშირმა ცვლამ, თავისთავად, შეიძლება კუჭ-ნაწლავის აშლილობა გამოიწვიოს და მაშინ არჩევანი ძნელი დასადგენი ხდება.

უნდა ითქვას, რომ დიათეზის წარმოშობის მიზეზი მარტო ნარევის ხარისხი კი არ არის, არამედ ბავშვის ორგანიზმის ალერგიისადმი მიდრეკილებაცაა. ამგვარ ბავშვებს კი ყოველგვარ ნარევზე აქვთ რეაქცია, მაგრამ უფრო ხშირად — შედარებით ტკბილზე, როგორიცაა, მაგალითად „მალიუტკა“ (არა აციდოფილიანი) და „მალიში“. ზოგჯერ დიათეზს რძის ნარევი კი არა, დამტკბარი წყალი იწვევს, რომელსაც შუალედში აძლევენ. წყალი ბავშვს უნდა მივცეთ, მაგრამ მხოლოდ ჩვეულებრივი — გადადუღებული, ან ძალიან სუსტი უშაქრო ჩაი.

როცა დედას რძე ცოტა აქვს, ბავშვს ადაპტირებულ ნარევს ვუმატებთ. მაგრამ დაახლოებით ოთხი თვის ბავშვს უკვე აღარ ჰყოფნის მხოლოდ ის ნივთიერებები, რომლებსაც დედის რძე ან რძის ნარევი შეიცავს. ორგანიზმს სჭირდება უფრო მრავალფეროვანი მინერალური მარილები, ვიტამინები, გარდა ამისა — მეტი ცილები, ნახშირწყლები, ცხიმები. ამიტომ ყმაწვილს უნდა მივცეთ ბოსტნეულის პიურე, ფაფები, ხაჭო, შემდეგ კი — ხორცის ბულიონი, ხორცი, პური.

ბავშვის რაციონში დამატებითი საკვების შეტანა ერთობ პასუხსაგები პერიოდია. თხევადი საკვებიდან ის ნახევრად თხევად, შემდეგ კი სქელ საკვებზე გადადის. საჭმლის მომნელებელი ორგანოების მუშაობა რთულდება. ამიტომ ფრთხილად უნდა იყოთ!

## რა, როდის, რამდენი?

თქვენს წინაშეა ერთ წლამდე ასაკის ბავშვის კვების საორიენტაციო სქემა. ახალი პროდუქტების მიცემის ეს თანამიმდევრობა მრავალწლიანი პრაქტიკით შემოწმდა და სავსებით გამართლებულია. ცხადია, ამ სქემის ფარგლებში შეიძლება იყოს რაღაც ინდივიდუალური ვარიანტები, მაგრამ ისინი უთუოდ უნდა შეუთანხმოთ ექიმს. არის საერთო წესებიც, რომელთა დაცვა სავალდებულოა.

რძის ნარევი ყმაწვილს ძუძუს მიცემის წინ უნდა მისცეთ: მშიერი უფრო ხალისით შეჭამს, ახალ, უჩვეულო საკვებს, ხოლო ფაფეული, ხორცისა და ბოსტნეულის პიურე ძუძუს დააყოლებინეთ, რომ ყმაწვილმა, რაც შეიძლება მეტი რძე გამოწოვოს. ამ საკვების მიცემა ერთი-ორი ჩაის კოვზის ოდენობით უნდა დაიწყოთ და თანდათანობით, 10-12 დღის განმავლობაში მიიყვანოთ მთლიან ულუფამდე.

დაიხსომეთ: არ შეიძლება ერთ დღეს ორი ახალი კერძის მიცემა. ჩვენს ცხრილში მითითებულია დღიური ნორმა: სქელი საკვები გრამებით, თხელი — მილიმეტრებით. როცა ხილის წვენის ულუფა 40-50 მილიმეტრს მიაღწევს, უმჯობესია ის გავყოთ და ორ ულუფად მივცეთ.

აი, დაახლოებით როგორია თქვენი ბავშვის დღიური რაციონი (ჩვენ იმ ასაკს ვიღებთ, როცა მენიუში მეტ-ნაკლებად არსებითი ცვლილებებია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა როდის მივცეთ ბავშვს

| ასაკი | მე-3 კვირა | 2 თვე | 3 თვე | 4 თვე | 5 თვე | 6 თვე | 7 თვე | 8 თვე | 9 თვე | 10 თვე | 11 თვე | 12 თვე |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ხილის წვენი | 5 წვეთი 15 მლ | 30 მლ | 30 | 40—50 | 50 | 50 | 50 | 50 | 50 | 50 | 50 | 50 |
| ვაშლის პიურე | | 5—10 გრ | 30 | 40 | 50 | 50 | 50 | 50 | 50 | 50 | 50 | 50 |
| კვერცხის გული | | | 1/4 | 1/4 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1/2 |
| ხაჭო | | | | 5—20 გრ | 30 | 40 | 40 | 40 | 40 | 50 | 50 | 50 |
| ბოსტნეული პიურე | | | | 60—80 გრ | 130 | 130 | 150 | 150 | 160 | 160 | 160 | 160 |
| მცენარეული ზეთი | | | | 1—3 გრ | 3 | 3 | 3 | 5 | 5 | 6 | 6 | 6 |
| ფაფეული | | | | | 60—130 გრ | 150 | 160 | 180 | 180 | 180 | 200 | 200 |
| კარაქი | | | | | 1—4 გრ | 4 | 4 | 5 | 5 | 6 | 6 | 6 |
| ბულიონი | | | | | | | 30 მლ | 50 | 50 | 50 | 50 | 50 |
| ორცხობილა | | | | | | | 5 გრ | 5 | 5 | 5 | 5 | 5 |
| პური | | | | | | | 5 გრ | 5 | 5 | 10 | 10 | 10 |
| ხორცი | | | | | | | | 20 გრ | 20 | 20 | 30 | 30 |
| | | | | | | | | | ხორცის პიურე | | გუფთა | |
| ნამცხვარი | 3/4 | 3/4 | | 3/4 | 3/4 | | 20 გრ | 20 | 20 | 20 | 30 | 30 |
| კვებათა რაოდენობა | 6—7 | 6 | 6 | 6—5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 |

## ბავშვი 5 1/2-6 თვისაა

კვების საათები

6 ს.

ძუძუ ან რძის ნარევი 180-200 მლ

10 ს.

ფაფა 150 გრ

ხაჭო 30 გრ

ხილის წვენი 30 მლ

14 ს.

ძუძუ ან რძის ნარევი 170 მლ

ხილის პიურე 50 გრ

ბოსტნეულის პიურე 150 გრ

18 ს.

კვერცხის გული 1/2

ხილის წვენი 20 მლ

22 ს.

ძუძუ ან რძის ნარევი 180-200 მლ

## ბავშვი 9-10 თვისაა

6 ს.

ძუძუ ან რძის ნარევი 200 მლ.

ფაფა (სხვადასხვა ბურღულის) 180 გრ

10 ს.

კვერცხის გული 1/2

ხილის წვენი 30 მლ

ხორცის ბულიონი ორცხობილათი 20 მლ

14 ს.

ბოსტნეულის პიურე 150 გრ

ხორცის პიურე 30 გრ

ხილის წვენი 20 მლ

18 ს.

კეფირი 150 მლ

ხაჭო 40 გრ

ხილის პიურე 50 გრ

22 ს.

ძუძუ ან რძის ნარევი

რძის ნარევი 200 მლ

## ბავშვი 11-12 თვისაა

7-7.30 ს.

რძის ფაფა 150 გრ

(საუზმე) კვერცხის გული 1/2

ხილის წვენი 50 მლ

12 ს.

ხორცის ბულიონი 30 მლ

(სადილი) ბოსტნეულის პიურე 150 გრ

ხორცის გუფთა (ან თევზის)

(კვირაში 1-2-ჯერ) 50 გრ

სტაფილოს წვენი 30 მლ

16 ს.

კეფირი 150 მლ

(სამხარი) ხაჭო 50 გრ

ხილის პიურე 50 გრ

ბოსტნეულის პიურე ან

20 ს.

(ვახშამი) რძის ფაფა 150 გრ

(მონაცვლეობით)

კეფირი

ან

რძის ნარევი 100 მლ

20 ს (ღამის კვება)

კეფირი

ან რძე 200 მლ

მიაქციეთ ყურადღება: საკვების საერთო რაოდენობა წლის მეორე ნახევარში თითქმის მუდმივია და დღეში 1 ლიტრს (1000 გრამს) არ აღემატება. პირველი და ბოლო კვებისას ყმაწვილი თითქმის მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ მსუბუქ საკვებს იღებს — დედის რძეს ან რძის ნარევს, 10 თვიდან მოყოლებული კი — კეფირს, გაუზავებელ რძეს. 11-12 თვის ბავშვს 20 საათზე აძლევენ ბოსტნეულის პიურეს ან ფაფას (როგორც ძირითად საკვებს), რომელსაც ის კეფირს ან რძის ნარევს დააყოლებს.

ღამის კვება (22 საათზე) არ არის აუცილებელი. თუ ბავშვი უარზეა, ნუ დააძალებთ.

## „ვინც დიდხანს ღეჭავს, დიდხანს ცოცხლობს"!

ეს ანდაზა ჭკვიანმა და დაკვირვებულმა ხალხმა შეთხზა. დინჯი, აუჩქარებელი ჭამა (ხარბად კი არა— მადიანად), სასიკეთოდ მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე და ამას ის პატარაობიდანვე უნდა შეეჩვიოს.

აქ კი უთუოდ უნდა შეირჩეს მომენტი — რომ არც ძალიან ადრე მოგვივიდეს და არც ძალიან გვიან.

6-7 თვემდე ყმაწვილი კარგად გაქნილ და გახეხილ, ერთგვაროვანი სისქის საკვებს იღებს. ნელ-ნელა სისქეს ვუმატებთ, ოღონდ ვფრთხილობთ, რომ საჭმელში პაწაწა გუნდები არ შეგვყვეს, რადგან პატარას მათი არც დაღეჭვა შეუძლია და არც გადაყლაპვა, ასე რომ, კვება შესაძლოა პირღებინებით დამთავრდეს, მაგრამ როგორც კი ბავშვს პირველი კბილები ამოუვა ბოსტნეული კი არ გავუხეხოთ, არამედ ჩანგლით დავსრისოთ.

თავდაპირველად უმჯობესი იქნება, თუ ხორცის პიურეს ბოსტნეულისას შევურევთ, მერე კი ცალ-ცალკე მივცემთ. ხორცი და, განსაკუთრებით, ღვიძლი ორჯერაც რომ გაატაროთ ხორცსაკეპ მანქანაში, მაინც ხოშხოშა გამოდის და ბავშვი ამით გაუხეხავი საკვების ჭამას ეჩვევა.

პურს, ნამცხვარს, ორცხობილას ბულიონში ნუ დაალბობთ, ჯობს მთლიანად მისცეთ: ბავშვი მას ღრღნის, აქუცმაცებს, ამით დიდ სიამოვნებას იღებს და ღეჭვის ხელოვნებასაც ეუფლება.

ს. გრიბაკინი,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.
„ზდოროვიე", 1988 წ. № 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „უარყოფილნი" ანუ ბედი თუ სინდისი

რედაქციამ მრავალი გამოხმაურება მიიღო ჩვენი ჟურნალის შარშანდელ ივნისის ნომერში დაბეჭდილ დოდო ვადაჭკორიას წერილზე „სადა ხართ, „ქვეყნის მამიდებო", რომელიც შეეხებოდა საბავშვო სახლებში მიბარებულ ბავშვებს. თითქმის ყველა მათგანში გვეკითხებიან: რატომ გაძნელდა საბავშვო სახლებიდან ბავშვის გაშვილებაო.

იგივე შეკითხვით მივმართეთ სახალხო განათლების სამინისტროს ინტერნატულ დამხმარე სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებებისა და ბავშვთა უფლების დაცვის განყოფილების უფროსს გურამ ჭუმბურიძეს და წყნეთის ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლის დირექტორს მზია კიწმარიშვილს.

* * *

დაიბადება ბავშვი და ამ ქვეყნად თავის გაჩენას ჯანსაღი ტირილით განაცხადებს. თუმცა რა იცის ჩვილმა, გაახარა თუ არა დედის გული! სამწუხაროდ, ზოგიერთი მშობლისათვის იგი არასასურველი და ზედმეტი აღმოჩნდა. მისი დაბადებით მხოლოდ ცხოვრება აუწეწა და გულში დედობრივი გრძნობა ვერ გაუღვიძა. პირიქით, გაანაწყენა და გააბოროტა, რადგან იგი ოჯახის სირცხვილად, ნათესაობის თავის მომჭრელად და, რაც მთავარია, დედისათვის შემდგომი ქორწინების ხელისშემშლელად გაჩნდა.

ამგვარი ბავშვების მშობლებმა იციან, როგორ „მოიწმინდონ სირცხვილი". მათდა საბედნიეროდ, არსებობს ბავშვთა სახლები.

მრავალ „უარყოფილს" იკედლებენ საბავშვო სახლები. იქ მათ საჭმელიც აქვთ და სასმელიც, ჩასაცმელიც და დასახურიც, ზრუნვაც და ყურადღებაც, მაგრამ აკლიათ მთავარი — დედის სითბო, დედის ალერსი, დედის ხელი.,. ალბათ ამიტომაც მათ თვალებში ბავშვურ სილაღეს შეჰპარვია სევდა, რომელიც სამუდამოდ „უსახსოვრებია" საკუთარ სისხლს — დედას.

ასეთი დედები ბუნების შეცდომაა...

საბედნიეროდ, ბევრია ბავშვთა სახლებში მიბარებული პატარების შვილად აყვანის მსურველი. ისინი წლობით დგანან ქალაქის განათლების განყოფილებასთან შექმნილ სპეციალურ რიგებში. ბევრი პირადად მიმართავს სახალხო განათლების სამინისტროს, საბავშვო სახლებს. სამწუხაროდ, არც წერილების აკლდება, და არც საბავშვო სახლები „თმობენ" პატარებს.

გაგაცნობთ რედაქციაში შემოსული წერილების ნაწილს. „გთხოვთ გვიპასუხოთ გულწრფელად და პირდაპირ: რატომ არ გვაშვილებენ პატარებს საბავშვო სახლები? ხომ იცით, რამდენი ახალგაზრდა ცოლქმარია უშვილო? მათ შორის — მეც. ყოველი ჩვენგანი სიხარულით გაუწევს მათ დედობას, მაგრამ ვინ გვაღირსა ეს ბედნიერება? იქნებ დაგვეხმაროთ და გადაარჩინოთ ჩვენი ოჯახი დანგრევას და გაგვაბედნიეროთ პატარას შვილობით".

„გთხოვთ დამეხმაროთ და შემატყობინოთ, სად შეიძლება ბავშვის შვილობა. სადაც კი ვიყავი, საქართველოს ფარგლებში, ყველგან ერთი და იგივე პასუხით გამომისტუმრეს: „არცერთი ბავშვი ! არ გვყავს უპატრონო, რომ გავაშვილოთო".

„36 წლისანი ვართ. უშვილოდ ჩვენს ცხოვრებას აზრი არა აქვს. გვინდა ბავშვთა სახლიდან ავიყვანოთ პატარა, მაგრამ უარს გვეუბნებიან. თუ იქ ჩაბარებულ ბავშვებს ყველას პატრონი ჰყავს, ბავშვთა სახლებში რაღა უნდათ? ხომ შეიძლება გამოიცეს ისეთი კანონი, რომ ბავ-

შვთა სახლებმა დაუბრკოლებლად მოგვაშვილონ ბავშვები მშობლობას გულით მონატრებულ ახალგაზრდებს?

მზია კიწმარიშვილი: — მართალს იწერებიან, მაგრამ არც ჩვენ ვტყუით. რა ვქნათ, როცა გასაშვილებელი ბავშვები ძალზე ცოტა გვყავს და იცით რატომ? ეშმაკურად იქცევიან მათი დედები, შვილებს საბავშვო სახლებს აზრდევინებენ, თვითონ წელიწადში ერთხელ, სულ ხუთი წუთით მოინახულებენ მათ და ამით, კანონით დედობის უფლებას ინარჩუნებენ. აი, ეს არის ხელ-ფეხს რომ გვიბორკავს.

გურამ ჭუმბურიძე: — ძნელია, ძალზე ძნელი სხვისი შვილის გაშვილება, როცა მას დედა ჰყავს. მართალია შვილზე ზრუნვა და ღამეების ტეხვა არ სურს, მაგრამ დედა რომ ერქვას, უნდა. ჩვენ კი ვიცით, რომ იგი ამორალური ქცევისაა, ლოთია, ნარკომანია და მისი გაზრდილი შვილი არც ივარგებს. ასეთი მშობელი არც დედობის ღირსია, მაგრამ სანამ მას დედა ჰქვია და ეს უფლება აქვს, გაბედე და გაუშვილე შვილი. თვალებს ამოგკორტნის, მისი აზრით, მერე რა, რომ მეძავია, ლოთია, დედობის უფლება ხომ აქვს!

რა ვქნათ?

მზია კიწმარიშვილი: — სწორედ ეგ არის ჩვენი უბედურება. ამ უღირსმა ქალებმა იციან შვილის წელიწადში ერთხელ მონახულებით ან წერილის მოწერით დედობას რომ შეინარჩუნებენ. ჰოდა, „როგორლაც იცლიან“ ხუთიოდე წუთით. შემოირბენენ, დაწერენ განცხადებას „გთხოვთ მაჩვენოთ ჩემი შვილი“ და მერე ისევ იკარგებიან. ასეთი შემთხვევაც გვქონდა. მოვიდა დედა და განცხადება დამიდო წინ. მე ვუთხარი, უნდა მოიცადოთ, რადგან ბავშვს სძინავს-მეთქი. აქ რა მომაცდევინებს მაგის გაღვიძებამდეო და წასვლა დააპირა. მე განცხადებას დავხედე. იცოდა განცხადების გარეშე ეს მოსვლა ბავშვის ნახვად არ ჩაეთვლებოდა და დაიცადა.

გვყავს ათი წლის ბრწყინვალე ბიჭი. მის შვილობას ყველა ოჯახი ინატრებდა. დედა ლოთი და მეძავი ჰყავს. იცის ეს ბავშვმა და მის სანახავად მოსულ დედას არ ეჩვენება (შვილის სანახავად ფხიზელი არასოდეს არ მოსულა). ახლა გაიგო, რომ დედამისმა პატარების ჯგუფში მისი 2 წლის და რვა თვის ძმა ჩააბარა. გვთხოვს, მის ჯგუფში გადმოვიყვანოთ. მე უნდა მოვუარო და დედაჩემმა არც ის უნდა ნახოსო. მათი ასაკობრივი განსხვავება უფლებას არ მაძლევს, უფროსების ჯგუფში გადმოვიყვანო პატარა, მაგრამ ახლა იძულებული ვარ დავუთმო, რადგან მიშიკომ ერთი კვირაა დარდისაგან ჭამა აიკრძალა.

დიახ, ათი წლის ბიჭუნას დედა არ უნდა. არც ის უნდა, რომ მისმა ძმამ ინამოს დედა, მაგრამ ჩვენ მაინც უძლურნი ვართ, რომ ეს ბავშვები ნორმალურ ოჯახებში გავაშვილოთ. არადა, რა დააშავეს მათ? რატომ უნდა იზრდებოდნენ ბავშვთა სახლში? ბავშვთა 30-40 პროცენტი კი ამგვარი დედების შვილები არიან. განა დასანანი არ არის, რომ მათ დედები ჰქვიათ?

გვყავს სრულიად ჯანმრთელი სამი წლის ბიჭი. ქუჩაში დატოვა იგი დედამ. ერთი წელიწადი არ მოუკითხავს. განათლების სამმართველოს ვაცნობეთ, რომ მისი გაშვილება შეიძლებოდა. მსურველიც გამოჩნდა... ბავშვმაც ღვიძლი მშობელივით შეიყვარა და მიეკედლა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა დედა და ველარ გავაშვილეთ. დადარდიანდა ბავშვიც და დედობის მსურველი ადამიანიც. როგორ არ ავუხსენით დედამისს, რომ მისი შვილის აქ გაზრდას, იმ ოჯახში აღზრდა სჯობდა. როგორ მიბედავთ, მე თქვენ გიჩვენებთ სეირსო, — დაგვემუქრა, მას შემდეგ უკვე კარგა ხანია, აღარ გამოჩენილა.

გურამ ჭუმბურიძე: — მითხარით, დედა რომ შვილს ქუჩაში დატოვებს, იმას რატომ იმავე დღესვე არ უნდა ჩამოვართვათ დედობა? თუნდაც, რამდენიმე თვის შემდეგ? მესმის, შეიძლება რაღაც შეემთხვეს ადამიანს და ვერ მოიკითხოს შვილი, მაგრამ როცა გამოჩნდება და შევიტყობთ, რომ მან მხოლოდ იმიტომ დატოვა შვილი, რომ პირადი ცხოვრების მოწყობაში ებლანდებოდა ფეხებში, ამის შემდეგ მაინც რაღა გვიშლის ხელს? ყოფილა შემთხვევა, როცა სურამის ბავშვთა სახლიდან ბავშვი გააშვილეს, რადგან ორი წელიწადი არ ენახა დედას, შემდეგ გამოჩნდა მშობელი, იჩივლა და ბავშვი საბავშვო სახლში დააბრუნეს.

— ახლაც ყველაფერს ვღონობთ, რათა დავადგინოთ იმ დედების მისამართი, რომლებსაც წლების მანძილზე არ მოუკითხავთ შვილებისათვის, რომ დავეკითხოთ და მერე გავაშვილოთ. ეს სამართალია? გვიჭირს, ძალზე გვიძნელდება მათი პოვნა.

კორესპონდენტი: — იქნებ არ ეძებთ ისე, როგორც საჭიროა? იქნებ მონდომება გაკლიათ?

გურამ ჭუმბურიძე: — შეიძლება, მაგრამ ისიც უდავოა, ამგვარი ქალები იშვიათად რჩებიან ერთსა და იმავე მისამართზე, ზოგი ციხეშიც ხვდება... მაგონდება, ცემში უბედური შემთხვევის გამო 11 წლის ბიჭი დაგველუპა (ხიდიდან გადავარდა). ძლივს მივაგენით დედამისს. გათხოვილა, მისამართიც შეუცვლია, სამი შვილიც ჰყავდა. როცა მორიდებით უთხრეს პირველი შვილის ტრაგიკული ბედი, გაიკვირვა: არც კი მახსოვს, მყავდა თუ არაო...

მზია კიწმარიშვილი: — ერთი კი უნდა ვთქვა: — წინააღმდეგი ვარ, ბავშვი მივაშვილოთ ასაკგადაცილებულ მარტოხელებს. მერე რა, რომ სახლი და პირობები აქვთ, მშობელთა ზრუნვას მოკლებულმა ბავშვმა ოდესმე ხომ უნდა იგრძნოს დედ-მამის სითბო და ალერსი? სულ ახლახან 55 წლის ქალმა წაიყვანა სამი წლის გოგონა. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს ის ღვთისნიერი მანდილოსანი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, იმ ვერცხლისწყალივით გოგონას მოვლა გაუჭირდება. ხშირად ასეც ამბობენ, სიბერეში წყლის მომწოდებელი ხომ გვინდაო. დღემდე ჩვენთან დადის სამამულო ომის ინვალიდი კაცი, ბავშვის აყვანა სურს. რიგითაც ეკუთვნის. წინააღმდეგობას ვუწევ... და კიდევ ერთი, ბავშვი რომ იშვილოს, სხვა საჭირო საბუთებთან ერთად მშვილებელმა ჯანმრთელობის ცნობაც უნდა წარმოადგინოს. ცოდვა გამხელილი სჯობს და ხშირად ყალბია ეს ცნობები. ასე რატომ ვიმეტებთ ისედაც გამეტებულ ბავშვებს, როდესაც ჯანმრთელი ახალგაზრდა მეუღლეები წლობით დგანან რიგში.

კორესპონდენტი: ობლები თუ გყავთ?

მზია კიწმარიშვილი: — არა.

კორესპონდენტი: — სახლს კი მეტად არასასიამოვნო სახელი აქვს: „ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლი“. ვფიქრობთ, აღსაზრდელებზეც უსიამოდ მოქმედებს იგი.

გურამ ჭუმბურიძე: — კარგა ხანია ვფიქრობ ამ სახელწოდების შეცვლაზე.

კორესპონდენტი: — ვფიქრობ, ბედნიერება იქნებოდა მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა მდგომარეობა მალე გაგვერკვია და დროზე მიგვეშვილებინა წესიერი, ჯანსაღი ოჯახისათვის, მერე ბავშვთა სახლებიც აღარ დაგვჭირდებოდა.

გურამ ჭუმბურიძე: — იცოცხლეთ, კარგი იქნებოდა, მაგრამ... ჯერ ის უნდა გადაწყდეს, როდის ჩამოვართვათ აქ ჩაბარებულ ბავშვთა დედებს დედობის უფლება, ისე მდგომარეობა არ შეიცვლება, რადგან ეს უდედონი ამავე დროს დედიანებიც არიან.

### მინაწერი:

იქნებ, მართლაც, ძალზე ვანებივრებთ მათ დედებს? რამდენიმე თვეში, თუ წელიწადში ერთხელ ხუთწუთიანი ნახვისათვის რატომ უნდა ერქვას დედა? იქნებ იმ სალსალამათ დედებს, რომლებიც ხელმოკლეობას იმიზეზებენ და ბავშვებს გასაზრდელად ბავშვთა სახლებში აბარებენ, ალიმენტი დავაკისროთ, რომ შვილისადმი პასუხისმგებლობა მაინც იგრძნონ, თორემ ნამდვილად არიან ბავშვის ნატრული უშვილო, ახალგაზრდა ოჯახები, რომლებიც მზად არიან გულში ჩაიკრან მშობლებისაგან ნებაყოფლობით „უარყოფილი“ ბავშვები, გაუწიონ ნამდვილი მშობლობა, ღვიძლი შვილივით აღზარდონ და იზრუნონ მათი ბედნიერი მომავლისათვის.

დედა წმიდათაწმიდა სახელია და ვფიქრობთ, იგი მხოლოდ ღირსეულ ქალს უნდა ერქვას...

შენ რას იტყვი, მკითხველო?

რუსუდან ლორთქიფანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ისპანახი ერბო-კვერცხითა და მწვანილით

გახუფთავებული, გარეცხილი ისპანახი მოხარშეთ ჩვეულებრივი წესით. შეაგრილეთ, გაწურეთ ხელით და დაჭერით. წვრილად დაჭრილი ხახვი მოხრაკეთ ცხიმში. დაუმატეთ გამზადებული ისპანახი და ერთად შუშეთ 5-10 წუთი. შემდეგ დაუმატეთ ცხიმი, აურიეთ და ზემოდან დაასხით გათქვეფილი კვერცხი. შეასწორეთ კოვზით, ალაგ-ალაგ ჩაჩხვლიტეთ დანით, რომ კვერცხმა შიგნით გაუონოს. როცა კვერცხი მზად იქნება, კერძი გადმოდგით ცეცხლიდან.

ისპანახი — 500 გრ, ცხიმი (ერბო ან კარაქი) — 3-4 სუფრის კოვზი, კვერცხი — 3-4 ცალი, ხახვი 2-3 თავი, მწვანილი და მარილი გემოვნებით.

## მოშუშული სტაფილო კვერცხითა და არაჟნით

მთელ-მთელი წვრილი სტაფილო გაფხიკეთ, მიეცით ერთნაირი ზომა, გარეცხეთ, მოათავსეთ ქვაბში, დაასხით მდუღარე წყალი (ერთი სუფრის კოვზი) და ხარშეთ ნახევრად მოხარშულამდე. ხარშვის დროს დაუმატეთ 50 გრ ცხიმი, შაქარი, მარილი, მოურიეთ და მიაქციეთ ყურადღება, რომ არ ჩაიქნას (იგი მთელ-მთელი უნდა იყოს). მზა სტაფილოს დაუმატეთ 50 გრ ცხიმი, აურიეთ, გადმოიღეთ ლანგარზე, მოუწყვეთ ლამაზად დაჭრილი მაგრად მოხარშული კვერცხი, მოასხით არაჟანი (წინასწარ არეული ლიმონის წვენით) და მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუშის ფოთოლი.

სტაფილო — 500 გრ, არაჟანი — 1/2 ჩაის ჭიქა, ცხიმი (კარაქი ან ერბო) — 100 გრ, კვერცხი — 1 ცალი, ლიმონის წვენი, ოხრახუშის ფოთოლი და მარილი გემოვნებით.

## კომბოსტო კვერცხითა და ორცხობილათი შემწვარი

გახუფთავებული, გარეცხილი კომბოსტოს თავი გაჭერით ორად ან ოთხად, მოათავსეთ მარილწყალში, მოხარშეთ, გადაიტანეთ თუშფალანგში და შეაგრილეთ. შემდეგ გაწურეთ ხელით და დაჭერით. კომბოსტოს თითოეული ნაჭერი ამოავლეთ გათქვეფილ კვერცხსა და დანაყილ ორცხობილაში და შეწვით ორივე მხრიდან ცხიმიან ცხელ ტაფაზე. შემწვარ კომბოსტოსთან ერთად შეგიძლიათ მიიტანოთ არაჟანი.

კომბოსტო 500 გრ, დანაყილი ორცხობილა — $^{1}/_{2}$ ჩაის ჭიქა, კვერცხი — 1-2 ცალი, ცხიმი (კარაქი ან ერბო) 3-4 სუფრის კოვზი, მარილი გემოვნებით.

## დიალოგი საათთან

შარშან მთელ მსოფლიოში გამოუშვეს ნახევარ მილიარდზე მეტი სხვადასხვანაირი საათი. ელექტრონული საათების უმრავლესობა მარტო დროს როდი უჩვენებს. საათი-კომპიუტერი, საათი — ტელევიზორი, საათი, რომელიც მინიატურულ ეკრანზე უჩვენებს მსოფლიოს რუკას და დროს ნებისმიერ ქვეყანაში უკვე იშვიათობა აღარ არის. ახლახან კი იაპონიის „კასიოს“ ფირმამ გამოუშვა საათი-ტელეფონი. მის „მეხსიერებაში“ ჩაწერილია 50 ნომერი. საკმარისია საათი აპარატთან მიიტანოთ და უმალვე გამოიძახებს თქვენს სასურველ აბონენტს — ავტომატიკა თვითონ კრებს ნომერს.

შვეიცარიის ერთ-ერთი ფირმა თავის ახალ ნაწარმს სთავაზობს ხანგრძლივ ექსპედიციაში მიმავალ მკვლევარებს, ტურისტებს. ეს გახლავთ საათი-გადამცემი. მას გვერდზე აქვს წვრილი მავთულის ანტენა. გადამცემის ასამუშავებლად იგი კორპუსიდან უნდა გამოვწიოთ. არაჩვეულებრივი საათი უბედურების სიგნალებს გადასცემს 20 კილომეტრის მანძილზე 28 დღე-ღამის განმავლობაში. მას შეუძლია რეალური დახმარება გაუწიოს რთულ სიტუაციაში ჩავარდნილ ადამიანებს.

## ტელევიზორი ცეკვავს!

— სად არის ტელევიზორი?
— სამზარეულოში გავიდა...

ახლა ასეთი დიალოგი მსმენელებს რბილად რომ ვთქვათ, შეაშფოთებდათ, მაგრამ, უახლოეს დროში შესაძლოა იგი ჩვეულებრივი გახდეს. ვთქვათ, ადამიანმა მოისურვა გადაცემას უყუროს უფრო მოხერხებულ ადგილზე — ინებეთ. მას არ მოუწევს მძიმე მიმღების აწევა და წაღება ან პორტატული აპარატის შეძენა. ამერიკელმა სტუდენტმა ბ. ელიოტმა შექმნა ტელევიზორი „ენიმენი“, რომელიც მაყურებელს მორჩილად დაჰყვება, სადაც მას სურს, საკმარისია მხოლოდ თითი დაუქნიოთ. გამოვიდა ჰიბრიდი, რომელიც რაღაცით გვახსენებს სირაქლემას. სხვათა შორის, „სონის“ ფირმის მიერ მოწყობილ ტელე და ვიდეოტექნიკის გამოფენაზე შეკრებილი სპეციალისტები საკმაოდ სერიოზულად აფასებენ ამ კურიოზულ კონსტრუქციას. მას პირველი პრემია მიენიჭა საოჯახო გასართობ მოწყობილობათა განყოფილებაში. დამთვალიერებელთა განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოიწვია ცეკვა „კანკანმა“, რომელიც მოსიარულე ტელევიზორებმა შეასრულეს მუსიკის აკომპანემენტის თანხლებით, ეკრანებიდან რომ მოისმოდა.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებების: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის — 93-25-64, ლიტერატურისა და ხელოვნების — 93-98-53, კულტურისა და ყოფაცხოვრების — 93-98-50, მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, ტექნიკური რედაქტორის — 93-98-58, საერთო განყოფილების — 93-98-54. მასალები გადაეცა ასაწყობად 3.03.89 წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.04.89 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8, ტირაჟი 171.000. შეკვ. 548. უე 04662. Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 58. ფასი 30 კაპ.



იყალთოს აკადემია

დავით იაკობაშვილის ფოტო

ფასი 30 კაპ. ინდექსი 76178

6222/62

ეროვნული ბიბლიოთეკა

